



ბუნება

№ 7 1987
თბ 5.3.06.0



გზის დასაწყისი

„მაგრამ ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ“.

ა. ს. გორგაჩივი.



ხალი წელთაღრიცხვის რიგით უკვე ათას ცხრაას ოთხმოცდამეშვიდე წელია. ახალი სურვილების, ჩანაფიქრის, იმედის 1987 წელი.

ახალი თვისებრივი გარდაქმნების წელი.

იგი პირველია, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ უკეთესი, წმინდა, სამართლიანი ცხოვრების გზა გაუთავა, ხოლო უკვე წარსულის კუთვნილმა განვლილმა წელმა ფიქრის, განსჯის, ღირებულებათა გადაფასების და სხვა ბევრი საზრუნავი უანდერძა.

ახალი ამოცანების ნათელი გაგება: დაჩქარების კურსი არ იფარგლება მარტოდენ ეკონომიკის დარგში მიღწეული გარდაქმნებით. იგი, ამავე დროს და ამასთან ერთად, ითვისისწინებს ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევის, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ახლებური მიდგომა ძველი, გადაუჭრელი პრობლემებისადმი, რამეთუ, როცა ვითარება შეიცვალა და ჩვენ სხვაგვარი ამოცანები უნდა გადავჭრათ, ძველებური ხერხი აღარ გამოგვადგება.

ახლებური ფსიქოლოგიის და არასტანდარტულ ვითარებაში დამოუკიდებელი მოქმედების უნარის გამოუმუშავება — მოქმედება კონკრეტული, გამიზნული, ეფექტიანი. ინერტულობის, მართვა-გამგეობის ფორმებისა და მეთოდების განხვევების დაძლევა-დინამიზმის, როგორც ცხოვრების წესისა და ყოფიერების ნორმის დამკვიდრება.

ახლებური ხედვა: ზოგიერთი თეორიული წარმოდგენისა და კონცეფციის ახლებურად განჭვრეტა.

ახალი ამოცანების მასშტაბურობითა და სირთულით ყოველივე იმის შეფასება, რაც უკვე ვაკეთდა და ამჟამად კეთდება. გუშინდელი საზომი აღარც აქ გამოდგება.

ახალი სოციალისტური საზოგადოების სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრება.

და კიდევ ბევრი სხვა რამ. ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ.



ხალი წლის სტარტი იმედიანი აღმოჩნდა. იგი მეთორმეტე ხუთწლედის პირველი, 1986 წლის შედეგებმა განაპირობა.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის საგეგმო მაჩვენებლები პოზიტიური ძვრებით აღინიშნა. გარდაქმნის პროცესი სულ უფრო მტკიცედ იკრებს ძალას. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარება აღმაავალი გზით წარიმართა. გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, მრეწველობის

პროდუქციის გამოშვება, ძირითადი ფონდების ამოქმედება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. გარდაქმნა მიმდინარეობს ყველგან. მიმდინარეობს იგი ჩვენს რესპუბლიკაშიც, ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაშიც. და, მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესი მაინც ნელი ტემპით ხორციელდება.

გარდაქმნასაც სჭირდება დაჩქარება.

გარდაქმნის პროცესი რთულად, წინააღმდეგობრივად, არათანაბარზომიერად მიმდინარეობს, რადგან ბევრგან აწყდება ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლებებს, ხდება იმათ წინააღმდეგობას, ვინც ცდილობს, შეინარჩუნოს დრომოჭმული წესები და ისე გააუმჯობესოს მოჩვენებითი მხრიდან მაინც საქმე, რომ არაფერი შეცვალოს. ეს უთუოდ იმის გამოც ხდება, რომ ჩვენი წინსვლის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობა კადრების ფსიქოლოგიის გარდაქმნაა, ხოლო გარდატეხას სწორედ აქ ვერ მივალწიეთ: სამეურნეო მექანიზმის ყოველგვარი გარდაქმნა შეგნების გარდაქმნით იწყება, რაც აზროვნებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებული სტერეოტიპების უგულვებელყოფით უნდა გამოიხატოს.

არ ყოფილა ეს იოლი საქმე.

ძნელი აღმოჩნდა მოძველებული საზოგადოებრივი ფორმების, მუშაობის სტილისა და მეთოდების განახლება. ყველა ვერ ახერხებს, ყოველივე ეს შეცვლილ პირობებს მიუსადაგოს.


და ბევრგან ისევ გრძელდება ლოდინის მშვიდი, უწყინარი პოლიტიკა.

გრძელდება ქვემდგომი სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევის პრაქტიკა.

ისევ შეზღუდულია გაერთიანებათა და საწარმოთა დამოუკიდებლობის საზღვრები და არავინ აძლევს მათ უფლებას, თავისი შეზღუდულობისამებრ გაასაღონ ზეგვეგმითი პროდუქცია, გამოუყენებელი ნედლეული, მასალები, მოწყობილობა. შეუვალნი დარჩა ზემოდან დამტკიცებულ დავალებათა წრეც.

საქმე ის არის, რომ თუ სამინისტროებისა და უწყებების მთელმა რიგმა ფუნქციებმა ადგილებზე არ გადაინაცვლა, ისე ვერ გავზრდით საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობას საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისადმი, შეუმჩნეველი დავგრჩება მეურნეობრიობის მოძველებული მეთოდები და ვერც ახლით შევცვლით მათ. პასუხისმგებლობის გრძნობა მხოლოდ დამოუკიდებლობის გაფართოებული საზღვრების პირობებში დასახული პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისა და შრომის შემოქმედებითი ორგანიზაციის პროცესში ვითარდება. აქედან იწყება შეგნების გარდაქმნა, პრაქტიკის ჩამოყალიბებული სტერეოტიპების უკუგდება და, მაშასადამე, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნაც.

რეგულატიური სულისკვეთება, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში დიდმა ოქტომბერმა შემოიტანა, ღღეს, უწინარეს ყოვლისა, იმას



გულისხმობს, რომ გაბედულად გავუყვალეთ გზა ყოველივე ახალს, პროგრესულს და ჩამოვიცილოთ ყოველივე ის, რაც მოძველდა, რამაც დრო მოჭამა, რასაც ყავლი გაუვიდა.

განა ყავლი არ გაუვიდა ზოგიერთ ინსტრუქციას, დებულებას, ბრძანებას, ოდესღაც დადგენილ წესს და კიდევ ბევრ სხვა ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს, რომლებიც შეცვლილ პირობებსა და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოთხოვნების ვითარებაშიც განაგრძობენ აზიებობას, ხოლო ძველი და ახალი ცირკულარების მორევში მახინჯდება საკითხის არსი, აზრი და სული ეცლება უმნიშვნელოვანეს პარტიულ გადაწყვეტილებებს. ამის გაკეთება ხომ მაინც შეიძლებოდა განვლილი დროის განმავლობაში. ის თავისებური ფსიქოლოგია ხომ მაინც შეიძლებოდა დაგვეძლია, როცა საქმე ისე გინდა გააუმჯობესო, რომ არაფერი შეცვალო. ბოლოს და ბოლოს იმაში მაინც უნდა დავრწმუნებულიყოყავით, რომ ვითარება როცა შეიცვალა და ჩვენ სხვაგვარი ამოცანების წინაშე აღმოვჩნდით, აქ არ შეიძლება უკან მივიხედოთ და ეს ამოცანები გუშინდელი ხერხით ვადავჭრაო.

ვერ გადავჭრით.

ყველამ ერთად უნდა მოგვიდოთ ხელი ცხოვრებით ნაკარნახევი მომწიფებული პრობლემების გადაჭრას და ვარდაქმნას საჭირო დაჩქარება მივანიჭოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს: ნუ ვვლით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოგვევლინება ჯადოქარი ვარდაქმნა და ჩვენს მაგივრად მოაგვარებს ყველა ჩვენს საქმეს. თითოეულმა ჩვენგანმა ვარდაქმნა საკუთარი თავით უნდა დაიწყოს. ვარდაქმნელი კი ბევრი გვაქვს. ჩვენ ვარშემო ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი, ხარვეზი და ნეგატიური მოვლენაა, რომლებიც უთუოდ უნდა აღმოვფხვრათ. ამისათვის კი აუცილებელია, შეურიგებლად ვებრძოლოთ უყარათობასა და მფლანგველობას, უპასუხისმგებლობასა და მოშვერულობას, წამატებებსა და თვალის ახვევას, დატაცებას, მექრთამეობას, სპეკულაციას, უშრომელ შემოსავალსა და სხვა დანაშაულობებს.

მაგრამ დაჩქარების სტრატეგია როდი ნიშნავს აჩქარებული, წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმას ისე, რომ წინასწარ არ გაიაზრო მისი მიზანშეწონილობა და მოსალოდნელი შედეგებიც.

დაჩქარება და აჩქარება ერთი და იგივე არ არის.

აჩქარებულობას უმეტესად მოჩვენებითობა, თავისებური სანახაობითობის, ფორმალიზმის იერი დაჰკრავს.

ფორმალიზმი გარეგნული წესების დაცვაა საქმის არსებითი მხარის გაუთვალისწინებლად და საზიანოდ. იგი ფორმალურ მხარეებზე, შინაარსის გარეგნულ გამოხატულებაზე, გარეგან ნიშნებზე ყურადღების გამახვილებას ნიშნავს.

ვენში ლამის მისაბამ და წამახლისებელ ტრადიციად მკვიდრდება ამა თუ იმ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ მიმართული ისეთი აჩქარებული რეაქცია, როდესაც ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკი თავის გამოჩენის მიზნით ცდილობს, სხვას დაასწროს და რაც შეიძლება ბევრი „ხმაურიანი“ ფაქტი გამოავლინოს ჯეროვანი განსჯისა და შესაძლებელი შედეგების გათვალისწინების გარეშე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ერთმანეთს ვეჯობებით ფაქტების გამოვლენაში, მიგნებულ პირთა სამაგალითოდ დასჯასა და ყოველივე ამის პრესის ფურცლებზე გამოშვებულ რეაქციის ამდაგვარ ტენდენციას უმთავრესად კარიერისტული მისწრაფებები ამოძრავებენ. ასე უფრო იოლია თავის გამოჩენა და თანაც დრო ცოტა იხარჯება.

საქმემან შენმან გამოგაჩინოს!

ამას ხომ დროც მეტი სჭირდება და კიდევ სხვა რამეც. კარიერისტი კი ჩქარობს და განსჯის, გარკვევის, ანალიზის დრო აღარ რჩება, ხოლო მისი ასეთი აჩქარება არცთუ იშვიათად ძალზე ძვირად უჯდება ხოლმე შემთხვევითსა და ზოგჯერ უდანაშაულო მსხვერპლსაც კი.

ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა მაშინაც, როცა თბილისის ქუჩებში აჩერებდნენ ქვეითად მოსიარულე თუ მანქანაში მსხდომ მოქალაქეებს და უცნობი პირები, რომლებიც იმ დროს თვითონ უნდა ყოფილიყვნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ეკითხებოდნენ:

— რატომ ხართ სამუშაო საათებში ქუჩაში?

ანლო რატომ აღარ ეკითხებოდან?

იმიტომ რომ, ის „კომპანია“ ჩათავდა.

და კიდევ იმიტომ, რომ არ მოხერხდა შრომის დისციპლინის ამ გზით განმტკიცება. ეს პრობლემა ქუჩაში ვერ გადაწყდებოდა. აუცილებელი იყო ყურადღების თვით წარმოება-დაწესებულება-თა ხელმძღვანელებზე, პირველადს პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადატანა და შრომითს კოლექტივებში სერიოზული, ხანგრძლივი და შედეგიანი აღმზრდელი მუშაობის გაშლა, დისციპლინის დამრღვევთა მიმართ შრომითი კო-

ლექტივის გავლენის გაძლიერება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე, ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის ზომების მიღებაც და ა. შ. მაგრამ, ყოველივე ამას შრომა სჭირდება. — დრო ისა და ენერჯის ხარჯვა, ორგანიზატორული მუშაობის ნაწილი უნარი, დასახული ამოცანის ნათელი გაგება. ეს კი ბევრს მოქონებს ან უბრალოდ არ შეუძლია. სამაგიეროდ, ძალზე იოლი და თავის გამოსაჩენადაც მომგებიანია „ფაქტის“ სადაც ჯერ არს მიტანა.

ხოლო შრომის დისციპლინის განმტკიცების უაღრესად მტკივნეული და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ისევე და ისევე დღის წესრიგში დგას.

და შემდეგ კვლავ იმავე მეთოდით დაიწყო ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ.

ამ შემთხვევაშიც ფაქტების გამოვლენა ვახდა საჭირო და ისევე იმავე აჩქარებული ტემპით: ვინ ვის დაასწრებს და უფრო „ხმაურიან“ ფაქტს გამოავლენს. კარიერისტული მიზნებით ნაკარნახევმა თავის გამოჩენის სურვილმა და მისწრაფებამ კი რამდენიმე შემთხვევითი პირი შეიწირა და საგრძნობი მორალური ტრავმაც მიაყენა. ხოლო ალკოჰოლისა და ჰამა-სმის მოყვარულნი ამ დროს არხეინად უსხდნენ მაგიდას და ჰიქით ხელში ვახარძობდნენ ერთმანეთის დღეგრძელებას. შინაც და ვარეთაც. აჩქარებული რეაქციის შედეგად გაცეცხლმა სხვადასხვაგვარმა, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო და არათანამიმდევრულმა განკარგულებებმა კი საზოგადოებაში გვარიანი დაბნეულობა გამოიწვიეს.

ამასობაში ზოგიერთი რამ ვაირკვა და დახუსტდა. თავდაპირველმა აღზევებამაც განვლო და ყველანი დაშოშმინდნენ.

შარშან ზაფხულს კვლავ ახალი ტალღა აზვირთდა: უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ტალღა.

და უშრომელი შემოსავლის მქონე სოციალურად საშიშ ელემენტებთან ერთად ამ ტალღამ ზოგიერთ უშრომელ კაცსაც გადაუარა. მათ შორის იმათაც, ვინც თავისი შრომით დამატებით შემოსავალს იღებდა.

ამჯერადაც აჩქარების რეაქციამ ვადასწონა.

რატომ?

იმიტომ, რომ საქმეში ღრმად ჩახედვას და დინჯ, მოფიქრებულ მოქმედებას ისევე ცინცხალი ფაქტების სასწრაფოდ გამოვლენის ტენდენციამ სძლია. აჩქარებამ კი შედეგად ის მოგვცა, რომ სახელმწიფო ქონების მიმთვისებლბთან, გამომძალველებთან და საზოგადოების სხვა ანტიპოდებთან ერთად, რომლებსაც ადრეც ვებრძოდით, ამჯერად სამსჯავროზე საკმაოდ დეფიციტური სპეციალობის ხელოსნებიც აღმოჩნდნენ და მკაცრად დაისაჯნენ. მოხდა ისე, რომ უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ გაჩაღებულმა ასეთი ხასიათის ბრძოლამ შესაძლებელი ვახადა მშრომელი კაცისაგან უშრომელი შემოსავლის მიღება.

იმ ცხარე დღეებში ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე ხშირად ამოიკითხავდით ხოლმე გულსატკენ სტრიქონებს, რომლებიც მწარე ფიქრებს აღძრავენ.

წულუკიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ავტომანქანის შემკეთებელი ცხოვრობდა, ერთი კი არა — ბარე ორიც. და რა ვასაკვირია, რომ საკუთარი მანქანების მფლობელები საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მათაც მიმართავდნენ ხოლმე. ისინიც, ცხადია, ვაწუული შრომის სახალურს იღებდნენ. იქნებ მეზობლისა და ნათესავ-მეგობრისაგან არც არაფერი აელოთ, სხვებისაგან ალბათ კი. აბა, მუქთად ხომ არ იშრომებდა ოსტატი კაცი. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კი დრო იხელთეს, აქაოდა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაა გაჩაღებული და თავს სწორედ მაშინ წაადგნენ, როცა ისინი „საკუთარ“ ეზოში „კერძო“ ავტომანქანის შეკეთებით იყვნენ ვართული.


განა ეს არის უშრომელი შემოსავალი?

ამ საქმით რომ ადმინისტრაციული ორგანოების ნაცვლად მომსახურების სფეროს ადგილობრივი მესვეურები დაინტერესებულნიყვნენ, შესაძლებელი იქნებოდა ამ ოსტატების კანონიერი გამოყენება სახელმწიფოს, მოსახლეობისა და თვით ავტომანქანების შემკეთებელთა ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ ამას მოფიქრება სჭირდება, საქმის ორგანიზაცია, ინიციატივის გამოძლევა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ეს კი უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე აკრძალვა, დასჯა და მოვალეობის ასეთი ფორმალური, დასავმობი გზით მოხდა.

ახალციხის რაიონშიც ყოფილან ხელოსნები. თავიანთ სახლებში მათ სახელოსნოები მოუწყვიათ სტაციონარული ელექტროდანადგარებით და კარ-ფანჯრების ჩარჩოებს ამზადებდნენ.

მერედა, რა არის ამაში ცული?

კარ-ფანჯრების ჩარჩოები ხალხს სჭირდება და ასეთი სახელოსნოების დანგრევას, მათს აკრძალვასა და ამ ოსტატების იმედულად მყოფი მოსახლეობის ცარიელ-ტარიელზე დატოვებას, ხომ



არ აჯობებდა კანონიერი სახე მიგვეცა ასეთი ინდივიდუალური ხასიათის რეწვისათვის? მით უფრო, რომ სანთლით საქმეები გავიხსნა ამა თუ იმ პროცესის ხელოსანი.

და კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება გამოიღოს და გამოიღო კიდევ უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ გაჩაღებულმა წინააღმდეგებამ ბრძოლაში. ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის კერძო საცხოვრებელი სახლების მფლობელებმა უზნის რწმუნებულს სთხოვეს, ხელს ნუ შეგვიშლი სახლის სახურავის შეკეთება-გამოცვლაში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელიც შეპირდა — არ შევიშლით, გააგრძელონ ხელსნებმა მუშაობა და... ქრთამის სახით საქმოდ დიდი თანხაც მოსთხოვა.

ასეა ეს.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. საჭირო ვახდა იმის განმარტება, რომ თუ მძღოლმა, მაგალითად, გადაიყვანა ხალხი, რომელსაც ბაზარში სოფლის მეურნეობის პროდუქტები მიჰქონდა, ეს მას კანონის დარღვევად არ უნდა ჩაეთვალოს. უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონი, უწინარეს ყოვლისა, დევნის ბოროტ დამრღვევებს, რომლებსაც მიეკუთვნებიან ქურდები, მექრთამეები, თაღლითები, გადაწყიდველები და ა. შ. არც იმის გამო აგებს მძღოლი პასუხს, თუ პატივი სცა კაცს და დანიშნულების ადგილზე ჩაიყვანა. ეს შეეხება იმ შემთხვევასაც, როცა მძღოლმა მანეთი აიღო.

და მაინც მთავარი ის არის, რომ ადამიანების ურთიერთობა ადამიანური უნდა დარჩეს.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა თვით კანონის აზრისა და დანიშნულების საფუძვლიანი ახსნა-განმარტებით უნდა დაწყებულიყო. მაშინ შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ბრძანებულების დამახინჯებულად გამოყენება, გადახვევები და სხვა ისეთი შემთხვევები, რომლებმაც ხალხი გაანაწყენა და უშრომელი შემოსავლის შესახებ კანონის გამოყენების პრაქტიკის პროცესში ავტორიტეტიც კი შეუბღალა თვით ამ მეტად საჭირო და მნიშვნელოვან ღონისძიებას. ამა შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ, ვთქვათ, მეთუნე ქე თავისი ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს ვიღაცას სახლს უხურავს და ვინმემ ეს მას უშრომელ შემოსავლად ჩაუთვალოს? და იგივე უფლება აქვს ეს თავისი დამატებითი შემოსავალი შრომად ჩაეთვალოს ღურგალსაც, ხუროსაც, მებათქაშესაც, რომლებსაც მოქალაქეები იწვევენ ხოლმე პირადი შრომითი შეთანხმების საფუძველზე. როცა კაცი თავისი შრომით სხვა კაცს ეხმარება, მას შეუძლია შესაფერისი საფასურიც მიიღოს და არავის არა აქვს უფლება ეს უშრომელ შემოსავლად ჩათვალოს. თუ ოსტატი რაღაც მიზეზის გამო არ მუშაობს და თავის ხელობას პროფესიულად მისდევს, მან საფინანსო ორგანოებში სარეგისტრაციო მოწმობა უნდა აიღოს და გადასახადიც გადაიხადოს. მაგრამ თუ ეს დამატებითი შემოსავალი შემთხვევითია და ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს გაწეული შრომით მიიღება, მისი რეგისტრაცია საჭირო არ არის და ამისათვის გადასახადს ვერავინ გადაახდევინებს.

უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახე მიწვრებაა. გარდაქმნის პროცესს ყველაზე უფრო სწორედ მიწვრები ამუხრუჭებენ. მიუხედავად ამისა, მიწვრები, ყალბი მაჩვენებლები, ტყუილის შემცველი სტატისტიკა და სხვა ნეგატიური მოვლენები არ ყოფილა პრაქტიკულად კვალიფიცირებული როგორც უშრომელი შემოსავლის წყარო და მისი მიღების გზა, ხერხი, საშუალება. სამუშაო არ შესრულებულა, მაგრამ ქალაქზე ყველაფერი რიგზეა. და რადგან რიგზეა, მაშასადამე, ხელფასიც გაიცა, პრემიის თანხაც და სხვა. სახელმწიფო ბოროტების აქტი ეს არის და არა სახლის გადახურვაში აღებული საფასური.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა თანამიმდევრული, მიზანმიმსწრაფი და მიზანდასახული უნდა გახდეს. ამასთან, სრულიად შეუწყნარებელია ჩრდილი ადგებოდეს იმათ, ვინც პატიოსანი შრომით იღებს დამატებითს შემოსავალს. მეტიც, დროა პრაქტიკულად ვიზრუნოთ მოსახლეობის მომსახურების შემდგომი სრულყოფისა და გამარტივებისათვის და ამ მიზნით მოვაწესრიგოთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა. ახლა, ამის რეალურ შესაძლებლობას უკვე იძლევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელიც 1986 წლის 19 ნოემბერს მიიღო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ.

ახლებურად შევხედოთ ცხოვრებით ნაკარნახევ მოთხოვნებს და ნუ დავადგებით ლოდინის პოლიტიკას.



აჯარობა დაუბრკოლებლად მოქმედ სისტემად უნდა ვაქციოთ.

საჯაროობა სამეურნეო ორგანოების მუშაობაში... საჯაროობა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში.

ჩვენთვის პრინციპულია საჯაროობის გაფართოების საკითხი, ვინაიდან საჯაროობის გარეშე არ შეიძლება იყოს დემოკრატიზმი, მასების პოლიტიკური შემოქმედება, მათი მონაწილეობა მართვაში.

საჯაროობა საზოგადო, საყოველთაო, სახალხო ხასიათის, ესე იგი ყველას დასახანი და ვასაგონი ქმედება.

საჯაროობის გარეშე შეუძლებელია მხარი დაუჭიროთ კეთილ ოჯახურ ტრადიციებს და აღვზარდოთ ახალგაზრდობა უფროს თაობათა გამოცდილებით.

პიროვნების ჩამოყალიბებას საფუძველი ოჯახში ეყრება.

ამ ორიოდ წლის წინ მკითხველმა მიიღო ქეთევან ჯავახიშვილის მემუარული ხასიათის წიგნი, რომელშიც იგი იგონებს მამას — მიხეილ ჯავახიშვილს. ეს მოგონებები ბევრ საფიქრალს აღძრავს.

...მიხეილ ჯავახიშვილი არასდროს არ მისულა მარტო მწერალთა სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოებსა და იმდროინდელ ცხარე დისკუსიებზეც კი. მას თან ახლდა ჯერ საშუალო სკოლის მოსწავლე, ხოლო შემდგომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ქეთევანი. იგი ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა ხოლმე მამას, მერე დაჩაღებოდა და ყურადღებით უსმენდა საღამოებისა და დისკუსიების მონაწილე ორატორთა გამოსვლებს.

ქეთევან მიხეილის ასული ჯავახიშვილი იგონებს:

— მე მიყვარდა მამასთან ერთად ქუჩაში სიარული. მივდიოდი ხოლმე ხელკავით მწერალთა კავშირში ან სხვაგან სადმე. ჩემზე ბედნიერი მაშინ არავინ მეგულებოდა. ყოველ ნაბიჯზე მამას ნაცნობები ხვდებოდნენ. გზად მიმავალს ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ამა თუ იმ კაცის ვინაობაზე, რომელსაც მე არ ვიცნობდი. ისიც მიყვებოდა მის შესახებ ყველაფერს.

— მამამ ბიბლიოთეკის მოწესრიგება დამავალა. წიგნები მიყვარდა და მათი წესრიგში მოყვანა დიდ სიამოვნებას მგვრიდა. რაც მთავარია მიხაროდა, რომ საშუალება მეძლეოდა მისთვის მცირე სამსახური გამეწია და მუშაობაში ხელი შემიწყო — მისი დრო დამეზოვა. რამდენიმე დღეში წიგნები ისე დავალაგე, როგორც ბიბლიოთეკაში მიხნავს. დავნომრე და მათი სია შევადგინე.

— ასე 15-16 წლისა ვიქნებოდი, როცა მამამ წასაკითხად დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ მომცა. „დაკვრვებით წაიკითხე, — მითხრა მამამ, — შემდეგ ვისაუბროთ“. ეს იყო დაუვიწყარი საღამოები, როდესაც მე და მამა მის ოთახში მყუდროდ ვისხედით და ვსაუბრობდით რომანში გადმოცემულ მწერლის შეხედულებებზე რწმენის, სოციალურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და სხვა საკითხებზე.

ათი წლის იყო ქეთევანი, როცა მამას ალბომი მიუტანა და სთხოვა, — რამე ჩამიწერეო. მაშინ დიწერა დიდი ქართველი მწერლის ახლა უკვე ცნობილი „ათი მცნება“.

ათი რა ეწერა ალბომში: „ჩვენი დროის ათი მცნება 1. შენ ხარ მარადიული, განუწყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი. 2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, შენი პირადი მეგობარია. 3. ყველაფერი რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყოფელი შვილი. 4. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს. 5. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი. 6. განაგი თავი შენი და დაუშორილე გონებას შენი ყინი, კერპი გული და ურჩი სურვილები. 7. გზის ვაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცულლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაჰლუპავებს. 8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჭერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერ-ჯერობით საკუთარ ჭკუას, ჯინს და გულის ზრახვას ნუ აპყვები. 9. თავმოყვარეობა შეიძინე და თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადაატარებ. არ გაშაყდე. 10. ბოლოს და ბოლოს, ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი შრომა, მეორე — შრომა და მესამე — ისევ შრომა. ზემონათქვამი დაიხსომე და შეითვისე. შენი მოსიყვარულე მამა მიხეილ ჯავახიშვილი“.

მამაშვილური ურთიერთობის შთამბეჭდავი მოგონება.

საჯაროობა არ არსებობს ადამიანებს შორის ურთიერთობის გარეშე, გულწრფელი, გულახდილი, ადამიანური ურთიერთობის გარეშე. ისეთის გარეშე, რომელმაც მომავალში სიკეთე და კაცთ-

მოყვარეობა უნდა შეას და რომელსაც საფუძველი ოჯახში უნდა ჩაეყაროს.

აღმავლა ქვევიდან იწყება.

ახლა ურთიერთობრივ სფეროში ბევრი რამ შეიცვალა. ბევრი რამ გაუჩნდათ მშობლებს შვილებისაგან დაფარული. და შვილებიც ასეთივე კონსპირატულობით უპასუხებენ მათ. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდება, რომ სულიერი კონტაქტები მათ შორის უკვე დარღვეულა.

როდის, როგორ და რატომ?

ოჯახის წევრები ერთმანეთისაგან განცალკავებული, დაფარული და დამალული ცხოვრებით ვერ იცხოვრობენ. არ უნდა იცხოვრონ. მაშინ საზოგადოების ეს უმნიშვნელოვანესი უჯრედო ოჯახი აღარ არის.

ასევეა მეორე დიდ ოჯახში, რომელსაც ჩვეულებრივ შრომითს კოლექტივს უწოდებთ.

საჯაროობა სამართლიანობის საფუძველი და გარდაქმნის აუცილებელი პირობაა.

ახლანაზ გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებები რესპუბლიკის ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტთა აშკარად გაზრდილი აქტივობის ნიშნით ჩატარდა. ღია, გულახდილი, პატიოსანი და პრინციპული კრიტიკის მახვილი მიმართული იყო ისეთი მახინჯი გამოვლინებების წინააღმდეგ, როგორიცაა მიწრა, გამომძლელობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება და ა. შ. საჯაროობის ვითარებაში შესაძლებელი ხდება მუშა-მოსამსახურეთა მიერ დამნაშავე პირების, მათ შორის უღირსი ხელმძღვანელების, მოურიდებელი მხილება. სწორედ საჯაროობის გაფართოებისა და გაძლიერების ღონისძიებებმა შექმნეს პირობები, როცა ცალკეული მოქალაქეები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები დაუფარავად ამხელენ თანამდებობის პირებს სხვადასხვა სახის დანაშაულში. ასე მოიქცნენ, მაგალითად, საქავრო-მრეწვის „ხილბოსტნეულის“ სამმართველოს № 2672 ავტოკოლონის მძღოლები, რომლებმაც გამოააშკარავეს, რომ მათი უფროსი სისტემატურად იღებდა ქრთამს ახალი სატვირთო ავტომანქანების განაწილების დროს.

მაგრამ...

ახლა, როცა ბრძოლა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის კიდევ უფრო მძაფრდება, თავი იჩინა ამ ბრძოლის ეგოისტური, კარიერისტული მიზნით გამოყენების ცდებმაც. ნაკლოვანებების მხილებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ნიღბი აიფარეს, ხოლო სინამდვილეში პირადი ანგარიშსწორების გზასაც კი დაადგნენ სწორედ ისინი, ვისთვისაც საერთოდ უცხო და მიუღებელია სოციალისტური ზნეობისა და სოციალური სამართლიანობის ნორმების დაცვა.

ანონიმი, დამსმენი და ცილისმწამებელი ვერ ვახდება და არც უნდა ვახვალდოთ უკეთესი, წმინდა, სამართლიანი ცხოვრებისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის თანამგზავრი.

ეს პრინციპული საკითხია.

რამდენი უბედურება მოუტანიათ დამსმენებს, რამდენი გამხდარა ცილისმწამების მსხვერპლი, მაგრამ „ანონიმური სენისაგან“ განკურნება მაინც ვერ მოხერხდა. იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ აქა-იქ ისევ ბჭობენ მის ავ-კარგზე და ავიწყლებათ, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს ჩვენთვის სულიერით, რა გზებითა და საშუალებებით იქნება მიღწეული საზოგადოების ზნეობრივი ჯანმრთელობის განმტკიცება. აბა, დასაშვებია, ქუჩაში საფოსტო ყუთი გამოტყიდო წარწერით — მასალები მოგვაწოდეთ უშრომელი შემოსავლის მქონე საეჭვო პირებზეო? ან — რედაქციაში წერილები მოგვწერეთ თქვენს მეზობლებზე, თანამშრომლებზე, ყველაზე, ვიზუდაც ეჭვი გაქვთ უშრომელ შემოსავალს იღებდსო? ესე იგი დასმინეთო! მაღლობა ღმერთს, საქართველოში ასეთი რამ თავში არავის მოსვლია, მაგრამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მშრომელთა აქტიურობის უთუოდ მისასაღმებელ ზრდას, სამწუხაროდ, თან სდევს აგრეთვე ცილისმწამებელ დამსმენთა შესამჩნევი გამოცოცხლებაც.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის დაჩქარება თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული. მარტივი და იოლი საქმეა სხვაგან და სხვასთან ეძებო ნაკლი და მანკიერება. ხოლო თვითონ იცხოვრო მართალი ცხოვრებით, ნამუსიანად იშრომო და მუდამ სამართლიანი იყო — ეს ყოველთვის ადვილი ვასაქეთებელი არ არის. მაგრამ სწორედ ეს ძნელი საქმე აგვაძალღებს და გვათქმევინებს, რომ ჭეშმარიტად ამაყად ჟღერს ლამაზი და ტევადი სიტყვა — ადამიანი.

ახალი წელი.

ახალი საფიქრალი.

ახალი საზრუნავი.

ახალი წარმატებები.

ჩვენ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ.

გზა მშვიდობისა!

ოთარ ჯინჯლაძე

ს

ავიბადე და გავიზარდე გურიის ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში — ლანჩხუთში. ქალღმერთ ლამაზია ჩემი პატარა კუთხე. გემრიელი, მშრომელი, გამა...

ჯე ადამიანები ცხოვრობენ იქ. მამაჩემი ომიდან ახალდაბრუნებული იყო, დედაჩემი ცოლად რომ შეერთო. არც სახლი, არც ეზო — ჭირდა ცხოვრება. სწორედ ეს ადამიანები ამოუღდნენ მხარში ჩემს მშობლებს.


მამაჩემი ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში მუშაობს მეთუნეულად. ახლა პენსიონერია, მაგრამ მაინც ვერ ელევიან. მართლაც რომ ოქროს ხელი და გული აქვს. იგი სამამულო ომის წლებში მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად. ხუთი წელი იბრძოდა და ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

ცხრა წლისა ვიყავი, მამაჩემმა თავისთან რომ წამიყვანა სამუშაოდ. ჯერ ჩაის ყუთებს ვფუთავდი. ეს შედარებით იოლი საქმე იყო. მერე ჩაქუჩი და ლურსმანი მომცა ხელში და დამწყო, ასე ვთქვათ, ჩემი შრომითი ბიოგრაფია. პირველი ხელფასი, პირველი სინარჯისა და სიამაყის ცრემლები და, უკვე მეც ოჯახის მარჩინალ მამაკაცად წარმოვიდგინე ჩემი თავი.

სკოლა კარგი ნიშნებით დავამთავრე და აბა სახლში ვინ გამაჩერებდა. უმბოლესი უნდა დაამთავრო, მითხრეს ჩემმა მშობლებმა და თბილისში ჩამომიყვანეს.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე მისაღები გამოცდებზე მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე და ჩავირიცხე დაუსწრებელ განყოფილებაზე. იმ დროს დაუსწრებელი როგორც საღამოს დასწრებული ისე იყო. არც საშხედრო სავალდებულო სამსახურში იწვევდნენ დამთავრებადღე.

...დღემდე ვინახავ ოცდაერთი წლის წინანდელი გაზეთის ამონაჭერს, რომლითაც პირველად მოვედი ქარხანაში. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში შთამომავლობით მუშა დიდი სიყვარულითა და სიამაყით ჰყვებოდა თავისი საწარმოს ამბავს. რადიოთიც ბევრჯერ მსმენია სახელოვანი ქარხნის ისტორია და გადავწყვიტე, მუშაობა დამეწყო ამ, როგორც იტყვიან, რესპუბლიკის ბერძუნაში — ორთქლმავალვაგონემკეთებელ ქარხანაში, მაშინ სწორედ ასე ერქვა ქარხანას, ორთქლმავლებს ვარემონტებდით.



ბარანი ზურაბ ფირმანაშვილი.

დღესაც მასხოვს ქარხნის უფროსთან მიღებაზე რომ ვიყავი, მაშინ გაბრიელ მაცაბერიძე იყო დირექტორი. შემეკითხა, რა ფაქტორებზე სწავლობო და რომ მოისმინა, თვითონვე მიჩნია, შენთვის მექანიკურ საამქროში სჯობს მუშაობაო და, გამაფორმეს დამხმარე მუშად.

გამხდარი ბიჭი ვიყავი, 1965 წლის 14 სექტემბერს პირველად რომ შევბაძე ფეხი საამქროს შენობაში. მაინტერესებდა ის ადგილები, სადაც ადრე უმუშავიათ მაქსიმ გორკის, მიხეილ კალინინს. კალინინის ჩარხი ჩვენს საამქროში იდგა. ამჟამად იგი ქარხნის მუზეუმის კუთვნილება გახდა. ამ ჩარხზე კალინინი 1901 წელს მუშაობდა და მე რომ მივედი ქარხანაში, ჩარხი ისევ მოქმედებაში იყო. მანახეს ის ადგილი, ის საამქრო, სადაც მაქსიმ გორკი მუშაობდა. იგი მე-3 საამქროს მღებავი იყო.

ცოტა გამიჭირდა მუშაობა. ძნელი იყო საამქროდან საამქროში ხელის ურიკით დამუშავებული თუ დასამუშავებელი დეტალების გადატან-გადმოტანა.

პირველად რაც თვალში მეცა, ეს იყო დაზგა-დანადგარების მუშაობა, ხმაური და ის, თუ ადამიანები როგორ დასტრიალებდნენ ჩარხებს თავზე, როგორ ითლებოდა რკინა. იმ წუთში ისინი ყველანი გმირებდად წარმომედგინა. ძალიან დამაინტერესა საღარავნო ჩარხმა და თავისუფალ დროს სულ მის ირგვლივ ვტრიალებდი. ეს შენიშნა ომარ კვიციანიშვილმა, რომელიც დღესაც ჩემს გვერდით შრომობს და შემომთავაზა ჩარხზე მუშაობა. ძალიან შევეშინდი, მაგრამ იგი გვერდში ამომიდგა და ვნახე ჩემი ხელით ათლილი პირველი რკინის ბურბუშელა...

ასე დაიწყო ჩემი შრომითი ბიოგრაფია ჩემს ქარხანაში — ჩემს საამქროში.

პირველი დიდი ჯილდო ჩემს ცხოვრებაში იყო ქარხნის გაზეთ „ჩვენი საყვარის“ ერთ-ერთ ნომერში წერილი ჩემს შესახებ. წერილს ხელს აწერდა სერგო მუმლაძე. გაზეთის ნომერი საგულდაგულოდ ჩავდე კონვერტში და ლანჩხუთში მშობლებთან გავაგზავნე. მას შემდეგ პრესა და სხვა საინფორმაციო საშუალებები არ მაკლია. ის კი არადა, მამაჩემი იტყვის ხოლმე, ეს ტელევიზორი შენი გულისთვის ვიყიდევო. ცოტა დამაგვიანდება ტელევიზორში ან გაზეთში გამოსვ-

ლა და იმ წუთში დარეკავს, ხომ არაფერი გიჭირსო.

შემდეგ რამდენიმე დაზგა ავითვისე — მხეხავის, შიგნამტენის. ამაში, რა თქმა უნდა, საამქროს გამოცდილი მუშები დამეხმარნენ, ადამიანები, რომლებიც ათეული და ოცეული წლები რკინასთან ჭიდილში ატარებდნენ. ომარ კვიციანიშვილის, გიორგი ალიაშვილის, ტარიელ კვახაძის, ავთანდილ მირზაშვილის და მრავალ სხვათა შრომა, მე მგონი, შრომა კი არა, მართლა გმირობაა.

სულ მალე საამქროში კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად ამირჩიეს და ქარხნის კომკავშირის კომიტეტის წევრად.

1969 წელს გავხდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი. რეკომენდატორები იყვნენ სერგო მამულაშვილი და სერგო მუმლაძე, პარტიული სტაჟის მქონე გამოცდილი კომუნისტები. არჩეული ვიყავი საამქროს პარტკავშირად, პარტბიუროს წევრად. ხოლო 1975 წლიდან ზედიზედ 5 არჩევაზე პარტბიუროს მდივნად. ამჟამად ვარ პარტკავშირის წევრი.

რამდენჯერმე რაიონული საბჭოს დეპუტატად ვიყავი და ვარ არჩეული, აგრეთვე პარტიის ლენინის რაიკომის წევრად.

მონაწილეობა მივიღე საქართველოს კომპარტიის XXVI და XXVII ყრილობებში.

დიდი პატივი იყო ეს ჩემთვის.

მე-9 ხუთწლედის ვადაზე ადრე, ოთხ წელიწადში შესრულება ვივალდებულესიტყვა არ გამიტეხია. სწორედ ამ ვალდებულების შესრულებისათვის დამაჯილდოვეს მთავრობის ჯილდოთი — ვადმო-მეცა „შრომითი ღილების III ხარისხის ორდენი“.

ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის — „რას თვლით თქვენი წარმატებების საიდუმლოებად?“

საიდუმლოება აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ შეიძლება თქმა — საქმის სიყვარული, სიბეჯითე, ყოველგვარ სიძნელესთან შეჭიდება, სიახლის ძებნა. კაცი საქმეში უნდა განიცდიდეს სიამოვნებას, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვარ. განსაკუთრებით მაშინ, როცა მთლიანად ვითიშები გარე სამყაროსგან და მთელი სულითა და გულით ვირთვები საქმეში.

...ოცდაერთი წლის ასაკში დავექორწინდი, ჩემი სულისა და გულის სწორზე —

№ 1 (601), იანვარი, 1987

უზრნალი გამოცემის 1923 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-კო-
ლიტიკური და სალიტერატურ-სამ-
ხატვრო უზრნალი

ნომერი ში:

- ოთარ ჭინჭლაძე. გზის დასაწყისი. ზურაბ ფირცხალაიშვილი. მე და ჩემი ქარხანა.
- უმო უსისოო. ილია და ესტონეთი. ნათელა გიორგობიანი. დიდი აღმართი.
- მორის ფოცხიშვილი. ლექსი. გიორგი ნატროშვილი. ბავშვები თა-გაზოგან...
- ელგუჯა მესხაიშვილი. დაჩქარების კონცეფცია.
- სიხლეთა პანორამა. ნიკოლოზ ტიხონოვი. მე მიყვარს მთები.
- ლამარა თელია. ჩარხი უბრუნებს ყა-ლსაო...
- ეთერ რაჭვიაშვილი. მკითხველთა თხოვნით.
- ვასილ ვეჭაძე. დადიოდა ჭაბუკი კოეტი ქალაქში.
- ზურაბ ფოცხიშვილი. „...თუ სიზმარი აკიხდება“.
- იური რიხტიანი. შესაძლო ვარინან-ტიანი.
- ანდრე მორუა. სახელის დაბადება. სად, როდის, როგორ.
- ბარნარ ჰივო. ნებიჟოვა.
- კროსკოვლი.
- გივი მარუაშვილი. მოდა — უიარა-ლო დამკვეთი.

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ხახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ ვეჭაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგივ გოგოლაძე, ოთარ დე-მეტრაშვილი, სერგო ლორთქიძე, ვახტანგ ეს-ვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოცხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



ზურაბ ფირცხალაიშვილი თავის მოწოდებებთან.

სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ნანა, ჩემი მეუღლე, ჩემსავით მშრომელი ქალია, იგი მუშაობს სსრ კავშირის 50 წლის-თავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში ელექტროზეინკლად. ცოტათი თან-რივით ვჯობივარ. სიყვარულში ვეჭიბრე-ბით ერთმანეთს.

ცხოვრება, რომ იტყვიან, ნულიდან და-ვიწყეთ. ერთ პატარა, ნაჭირავებ ოთახში ვცხოვრობდით. ძალიან გვიჭირდა უბინა-ობა. სხვა რა გზა გვქონდა და მთელი სი-ხალისით ვშრომობდით. შეგვეძინა ჯერ ბი-ჭი, სახელად გიორგი დავარქვეთ, ხოლო შემდეგ გოგონა — ირმა, ზედმეტ სახე-ლად ჩემს კომისარს ვეძახი. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა არმიის რამდენიმე წელი, გაჩნდა თუ არა მეორე შვილი, გამათავი-სუფლეს. ახლა უკვე დიდები მყვანან — გიორგი 16 წლისაა, ირმა — 14 წლისა. გი-ორგის ცოტას ვემდურები სწავლაში, ირმა კი საშუალო ქებას იმსახურებს. ფი-ქრით კი ვფიქრობ, რომ ჩვენ, მე და ნანა, კარგ შვილებს ვუზრდით სამშობლოს.

საბჭოთა არმიიდან რომ დაებრუნდი, გადაწყვიტე, ხარატობა შემესწავლა. თავ-დაპირველად თითქოს მეძინებოდა, მაგ-რამ სახელოვანი კაცი იყო ლენინის ორ-დენოსანი ალექსანდრე მარგველაშვილი. მამხნევებდა, მეხმარებოდა და დამსახუ-რებულ პენსიაზე რომ გავიდა, თავისი ჩარხი მე გადმომცა...


კოლექტივში სათუთად ვუფრთხილდე-ბით იმათ ხსოვნას, ვინც საუკუნის მანძი-ლზე ქმნიდა ქარხნის შრომით ისტორიას, ისტორიას, რომლითაც ასე ამაყობს ჩვე-ნი მუშათა კლასი, პირველი რევოლუციის აკვანს — ჩვენთან ხომ პირველ მარქსის-ტულ წრეებს თვით იოსებ ჯულაშვილი ხელმძღვანელობდა.

1983 წელს ჩვენმა კოლექტივმა საუ-

ოსტაბაი სირგო მუხლაძე და ამირან ლორია ულრსავენ
ჯურაბ ფირცხალაიშვილი დიდებას მასამი ორდენს.



ჩვენი ესტონელი პეკოზარი



ს

ნობილი ესტონელი ენათმეცნიერი და მთარგმნელი უნო უსისოო ეს ორი ათეული წელია თარგმნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. ქართული ენითა და ლიტერატურით იგი ჯერ კიდევ ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს დაინტერესებულა. პირადად მეგობრობით ყოფილა დაკავშირებული კოტე ჯავრიშვილთან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აწ გარდაცვლილ დოცენტთან, რომელსაც დიდი როლი უთამაშია მისი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

უნო უსისოომ თავის მშობლიურ ენაზე თარგმნა და ცალკე წიგნებად გამოსცა ქართველ მწერალთა არაერთი ნაწარმოებები. მანვე უშუალოდ ორიგინალიდან პირველად გადაიტანა ესტონურ ენაზე ნაწევები „ვეფხისტყაოსნიდან“. ამას წინათ კი მართლაც ფასდაუღებელი ამაგი დასდო ორი მოძმე ხალხის კულტურულ ურთიერთობათა მატთანეს: ესტონურ ენაზე შექმნა უნიკალური ლექსიკოლოგიური ნაშრომი „ქართული სახელწოდების მართწერისათვის“. მასვე ეკუთვნის მრავალი სატელევიზიო და საგაზეთო წერილი ქართული კულტურისა და ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე. სამაგალითოა მისი კეთილმინდისიერი თანამშრომლობა ესტონურ ენციკლოპედიებსა და საცნობარო გამოცემებში საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობათა სიუხვისა და სიზუსტის საქმეში.

კუბლიკაცია მოამზადა
ამირან კალაძემ.

უნო უსისოო

ილია და ესტონეთი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ესტონეთის ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია არა აქვს, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — ილია ჭავჭავაძე საქმიოდ პოპულარულია ჩვენს რესპუბლიკაში. ჯერ კიდევ 1896 წელს ესტონურ პოლიტიკურ კალენდარში „ოლევიკ“ („თანამედროვეობა“) დაიბეჭდა ადო გრენცსტეინის მიერ ესტონურ ენაზე თარგმნილი ილიას ლექსი „გაზაფხული“. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ამის შემდეგ დიდი პოეტის ლექსები ჩვენს ენაზე არ თარგმნილა. სიტყვამ მოიტანა და, ბარემ აქვე ჩემს მოკრძალებულ სურვილსაც გაგაცნობთ: მე გადაწყვეტილი მაქვს დიდი ილიას საიუბილეო წელს ვიმუშაო მისი ლექსების თარგმანზე. ახლა კი ისევ წარსულს დავუბრუნდეთ. ჩემი ღრმა რწმენით, დიდმნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს 1955 წელს ესტონეთის სახელმწიფო გამომცემლობის

სსსრ უნივერსიტეტის უნივერსიტეტის
„დროშის“ ლიტერატურულ გან-
ყოფილ სპეციალისტს!
უნო უსისოო
წაკლინი

კუნის იუბილე იხეიმა. მთელმა რესპუბლიკამ გადაუხადა მას იუბილე — სწორედ ამ იუბილეს დროს დამაჯილდოვეს „შრომითი ღირსების II ხარისხის ორდენით“ — ვიფიქრე ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. ასეთ რამეს, თანაც ჩემს ასაკში, ბევრი ვერ აღწევს. არადა ერთმნებუნეთ ჩემს სიტყვებს, არასდროს მიფიქრია, რომ რაიმე ჯილდოს მომცემდნენ. უბრალოდ, ჩემს ვასაკეთებელ საქმეს ვაკეთებ, არ ვუტოვებ ვინმეს დასამთავრებლად. გულისთ მიყვარს ჩემი სამშობლო, მშობლიური ქარხანა და მშრომელი ადამიანები. განა ასე არ უნდა იყოს?

„რა მოგვა ქარხანამ?“ — ეს კითხვაც ისმის ხშირად.

როგორ თუ რა მომცა? — სამუშაო მომცა ისეთი, რომლითაც ვამაყობ — საიმედო მეგობრები, ოსტატობა და საერთოდ სიცოცხლის აზრი. მეტი რა უნდა მოეცა ამაზე კარგი და ამაზე სასიკეთო.

დიდად ბედნიერად ვგრძნობ თავს იმით, რომ ვიცნობ და მის გვერდით ვშრომობ. ალბათ ვაგვიჭირდება მოიძებნოს კაცი, რომელიც მას შეედრება. ეს კაცი არის იგივი გაჩეხილად. ჩვენს შორის ასაკის სხვაობა 20 წელია, მაგრამ ასაკს არა აქვს მისთვის მნიშვნელობა. ალბათ, თუ არსებობს ჩემში რამე კაცობის, მისი დიდი წვლილიც არის. იგი ნამდვილი ქართველია და მისი ცხოვრება სამაგალითოა ყველა-სათვის. ვცდილობ, მას მივბაძო.

...პირველად, როცა მოწაფე ჩამბარეს, გამიკვირდა, მე თავად რა ვიცი, ამას რა ვასწავლო-მეთქი, მაგრამ საქმე თავისთავად აეწყო. პირველ რიგში ვკითხე, ვინ იყო, რა განათლება ჰქონდა, თუ აპირებდა სწავლის გაგრძელებას, რა მიზანი ჰქონდა ცხოვრებაში. შემდეგ ჩემიც მოვუყევი, საამქროსა და ქარხნის შესახებაც ბევრი ვუამბე და ბოლოს ვეუბნები: „და-

ლიან სიტყვადუნწი ვარ და გთხოვ, ყველა ჩემი მოძრაობა დაიმასხოვრო. მე ისე მაქვს გათვლილი, ყოველი წუთი რაციონალურად უნდა გამოვიყენო.“. რა თქმა უნდა, პირველად ამის გაგება უჭირთ, მაგრამ მერე თანდათან ადვილად ხვდებიან მის არსს.

...დამთავრდა მეთერთმეტე ხუთწლიანი, ახალი ძალით, ენერგიით შევეუღებეთ მეთერთმეტე ხუთწლიან რთულ ამოცანებს. გარდაქმნის, გარდატეხის დრო დადგა. თვალნათლივ შეგვეტყო ყველას მომზადარი ძვირები. სკკპ XXVII ყრილობამ მძლავრი ამოცანები დაგვისახა. ამის შესრულებას კი მთელი ენერგიით, რეზერვების სრული გამოყენებით უნდა შეჭიდებოდა. ყველასაგან, თითოეული ჩვენგანისაგან სრული დატვირთვაა საჭირო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გამოვეცხადეთ წუნის მკეთებლებს. ამ მიმართებით ქარხანაში ბევრი სასიკეთო საქმე კეთდება, მაგრამ კიდევ ბევრი ვასაკეთებელი. განსაკუთრებით ჩვენ, დაზვოსნებს, მათ, ვინც დეტალებს ჩარხავს, ბევრი გვევალება. თუ წუნიანი ნაშაზი მივაწოდებთ ამგროვებელ საამქროებს, წარმოიდგინეთ, რა მოხდება.

ჩვენი პარტიული ჯგუფის კრებაზე არაერთხელ ვაგვიჩინა ალნიშნული საკითხი. არის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. განსაკუთრებით მჭირელი და შრომი იარაღების ნაკლებობას განვიცდილი. იმას არ ვამბობ, რომ არ გვაქვს! გვაქვს, მაგრამ ნაკლებად, არასაკმარისად. განსაკუთრებით ეს ახალბედებთან იგრძნობა და, მოგესხენებათ, ხარატს თუ საქრისი არ ექნა, ან მთლად უარესი — შრომი იარაღი, ის როგორ გაჩარხავს დეტალს. ამ მიმართებით ქარხნის სამსახურებმა,

რომელსაც ეს ეხება, უნდა გააუმჯობესონ მუშაობა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც იქნება.

ძალიან არ მიყვარს, როდესაც ჩემს ქარხანაში ხელს მიშლიან. ზოგჯერ წუთები წყვეტს საქმეს. და აი ორი თვის უკან საამქროს მეტაბელე მეძახის, ტელეფონზე გირეკავებო. ცოტა ვავბრაზდი, დილის 9 საათია. მივედი ტელეფონთან და მილოცავენ. რას? — ვეუბნები ტელეფონში ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეს გურამ რატანს. „შრომითი დიდების I ხარისხის ორდენით“ დაჯილდოვებასო. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი, თუ ჩემი შრომა ასე დაფასდებოდა.

მე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ქარხნის კოლექტივს იმ დიდი დაფასებისათვის, რაც ჩემ მიმართ გამოხატეს. პირობას ვიდევნი, რომ ყველაფერი გააკეთო ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ. როგორც მწერალი იტყვოდა: „სიტყვამ გულისა უნდა თქვასო“. და არა მარტო სიტყვამ, საქმემაც გულისა უნდა აკეთოს. ყოველ დეტალს, ყოველ საქმეს ჩვენი გულისა და სულის სიტბო უნდა მიყვებოდეს საგზულად. აი, მაშინ აღარ ვაგვიხელდება, უფრო იოლად გადავჭრით ყველა პრობლემა და ამოცანას, რომლებსაც პარტია გვიასახავს.

...პოლიტექნიკური ინსტიტუტი? დაუშვავრებელი დამარჩა! რაციონალიზატორულ წინადადებებს ვადავეყვი... იქ არც იყო ჩემი ადგილი. ჩემი ადგილი ჩემს ქარხანაშია, ჩემს დაზვასთან.


ზურაბ შირსხალიაშვილი, თბილისის ი. ა. სტალინის სახელობის ელექტროგადამამუშავებელი ქარხნის ხარბი.

AVTHANDL TSEL PHRIDOMI JUURDE
...mika meid muljad, milleks külvad murerikkuust?
...võid visata kanna kätte.
...kus teed põrnuks? Ei tea keegi elu pikkust.
...jagab Jumal armsikkust.
...leegid koondunud on tulevalliks.
...hualid, huuled punaseks koralliks.
...veetlust, võlu neile, keda sa pead kalliks;
...hullutat ja kinnad. Ah, kui siiski mind sa salliks!
...leusub: "Ära nutalt trõõsti küsi,
...hoidu eemal, surmasõõtest lahti rüüsi!
...juuksed mustad justku kaernasulg või süsi.
...pidutseda, kui ei hädas vapralt pässi!

ბედნიერად ცხოვრობს. ბევრი რამ გვხმენია საქართველოს ისტორიულ წარსულზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თითქმის არაფერი გვცოდნია იმ ქართველი გლეხობის შესახებ, რომელიც სულ რაღაც ამ ასიწლიანი წინათ ცალკეომ ცარიზმისა და ცალკეომ სახტეკრე მებატონეთა უღელქვეშ გმინავდა. არადა, რამდენი საერთო ჰქონდა ქართველი და ესტონელი გლეხების აუტანელი ყოფა! და თუცა ესტონელმა უმბემა ორმოცდაათი წლით ადრე გადაიგდეს მონობის უღელი, მრავალსაუკუნოვანმა ჩაგრამ წარსული კვალბ დატოვა მათ ცხოვრებაში. რაც შეეხება ესტონეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ სულ ახლახან გამოცემულ „კაცია-ადამიანს!“ იგი ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო როგორც მხატვრული ნაწარმოები, არამედ, როგორც საქართველოს უახლოესი წარსულის წარმომჩენი წიგნი, წიგნი, რომელიც დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი უღიდეგის წარმომადგენელი — ილია ჭავჭავაძე მაღალოსტატურად წარმოგვი-

დგენს ბატონყმობის ბოლო წლების სურათს საქართველოში“. 1957 წელს, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 50 წლის თავზე, ტარტუს გავით „ედასში“ დაიბეჭდა ცნობილი ლიტერატურათმცოდნის სერგი ისაკოვის სოლიდური გამოკვლევა დიდი მწერლის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. არიან ადამიანები, — ვკითხულობთ სერგი ისაკოვის გამოკვლევაში, — რომლებიც ბუნებამ უხვად დააჩილღოვა არა მარტო დიდი ნიჭით, არამედ საოცრად მრავალმხრივი ინტერესებით, უზარმაზარი შრომისუნარიანობითა და შემოქმედების დაუოკებელი სურვილითაც. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებათაგანი ვახლდათ ილია ჭავჭავაძე. 1957 წელს გავითმა „რაზვა მელმა“ გამოაქვეყნა ესტონელი კრიტიკოსის ვ. კალმეს საინტერესო წერილი ილიას შემოქმედების შესახებ. 1962 წელს ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 125 წლის იუბილეს. გავით

„სირბ ია ვასარში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი, რომელშიც შევეცადე ესტონელი მკითხველებისათვის მომეხიბრო იმ დიდი ერისკაცის შესახებ, რომელსაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა სიყვარულის ნიშნად საქართველოში „უგვირგვინო მეფე“ შეართვა. ცოტაც და ქართველი ხალხი, მთელ პარტიულ კვლობრობასთან ერთად, აღნიშნავს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავს. დღეს, როცა ასე გამოცოცხლდა ქართულ-ესტონური კულტურული ლიტერატურული ურთიერთობები, როცა ასე ინტენსიურად მუშაობენ ქართველი და ესტონელი მთარგმნელები, როცა ქართველთა და ესტონელთა მეგობრობის გაღრმავებას გეოგრაფიული სიშორებიც ვერასაკლებენ, მე როგორც ქართველოლოგი, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დიდი ილიას იუბილეს ესტონელი ხალხიც ღირსეულად აღნიშნავს.



ვიცი, რომ იურიდიულ ფაქულტეტზე შევიდა, წარმატებით დაამთავრა, მერე გათხოვდა, მაგრამ ბედმა არ გაუჭრა, ცული ბიჭი შეხვდა და ჩქარა დაშორდა; მოგვიანებით გაზეთში წავიკითხე რაიონის სახალხო მოსამართლედ აირჩიესო. მალე მისი პორტრეტი გაზეთშიც გამოაქვეყნა — ნინოს ხელთ ბარი ეჭირა და მწვანე ნარგავებს დასტრიალებდა თავს. შინაწერი აღნიშნავდა, რომ ამ ქალმა თავისი ქუჩა მწვანე ხეივანად აქცია და მისი მაგალითი მისაბაძია ყველასათვის, ვისაც ჩვენი ქალაქი უყვარსო. იქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ ქალბატონი ნინო ჩიტურაშვილი მარტო ხეებს როდი ახარებს და აცოცხლებს, იგი, ამავე დროს, თვალსაჩინო იუ-

ფათავე კიბე, ავედი მესამე სართულზე. მარცხნივ, კარზე მარტო სახელი და გვარია წარწერილი. ასეა მარჯვენა მხარეც. ერთი გვარიც უცნობია და მეორეც — მარტო ბინას შუა კი, კარზე წარწერა არ არის! სამაგიეროდ ზედ ვილაცის ცარკით პატარა გოგო დაუხატავს და ქვეშ წაუწერია — ია.

ნუთუ ეს არის ნინოს ბინა? ალბათ ეს არის. კარს მიღმა რაღაც კრი-ამულია, ღილაკს თითით ვაწვები. მესმის როგორ წკრიალებს ზარი, საღლაც მივნი. კარი ნელ-ნელა გაიღო. ჩემ წინ პატარა გოგო დგას, ცხრა თუ ათი წლისა იქნება. დმერთო, ნუ გადაძრე! თვალები მოვიფ-შვნიტე და დავხედე — ჩემ წინ დგას პატარა ნინოცა, როგორც ის იყო ორა ათეული წლის წინ.

— ვინ გნება? — მეკითხება ბავშვო-ბისდროინდელი მოჩვენება.

— რა გვარი, ხარ, გენაცვალე? — მოფე-რებით ვეკითხები ბავშვს.

— ჩიტურაშვილი, — მიპასუხა გოგო-ნამ. მაშ, არ შემშლია, ეს ნინოს გვარია, ქალიშვილობის გვარი.

— უფროსები შინ არ არიან?

— შემობრძანდით, დედა ახლავე მოვა. შემობრძანდით! — ნამდვილი დიასახლი-სივით მეპატიყება თითისხელა გოგო.

გაკვირვები თაგაუოჯენ... მოთხრობა

— ვანა შეიძლება ერთიმეორის ასე დავიწყება? რით ავხსნათ ეს? — წყენით მითხრა ნინომ და თავისი ბრიალი თვალე-ბი შემომანათა. ოდესღაც მას ნინოცას ვეძახოდით, მაგრამ ახლა ვეღარ გავხედე ამ სახელის გახსენება. მთელი კლასის ბი-ჭებს უყვარდათ ეს ყაჩაღი გოგო, მაგრამ ყველა ისე დაშინებული ჰყავდა, თამამ სიტყვას ვაგლახად ვერავინ შეჰბედავდა. არა და, თვალს ვერ მოაშორებდი, ისეთი ეშხიანი იყო. შემოგანათებდა თავის შუ-ქიან თვალებს და ისეთი სიხარულით აგავსებდა, უმალ დაგავიწყდებოდა, რა მიმიშე სადარდელიც უნდა გქონოდა.

— რა გქნათ, ჩემო ნინო, — ვუთხარი მე, — ასე დააწესა განგებამ, აღამიანები ჯერ კარგავენ ერთი-მეორეს და მერე ხელის ფათურით დაეძებენ. მაინც ვეღარ პოულობენ...

— არაკებთ ნუ მელაპარაკები. სადა ხართ, სად დაიკარგეთ! ზურაბი თეატრში ვნახე, ოცი წლის უნახავი ზურაბი. ვეცი მაშინვე, ბიჭო, შენ ზურაბი არა ხარ-მეთქი! თითქოს მოწყალეა მოილოო, ისე დიდკაცურად დამიქნია თავი იმ მასხარამ... სოსო აღარ ყოფილა ცოცხალი, — უტებ თითქოს ბინდმა დაუჩრდილა სახე. — თამრიკო იმ უჯიშო გიგას წაპყოლია, შე-ხედვის ღირსად რომ არა სთვლიდა. შენ ხანდახან გხედავდი... მოდი, გატეხე ნავი და გამომიარე.

თავისი მისამართი მომცა და დაუმატა — საღამოთი მუდამ შინა ვარ.

ვერა და ვეღარ გავუარე... გული კი მიმიწვევდა; ოდესღაც ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობდით და მთელ კლასშიც ყველა-ზე ახლობლებად ვგვრძობდით თავს. მას მერე ნინო აღარ შემხვედრია, ისე კი მისი ცხოვრების ამბავი დროდადრო მესმოდა.

რისტიც არის და საქმით ახორციელებს ბრძენთა ბრძენის აფორიზმს — ქმნა მარ-თლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად.

გაზეთი მეტს არაფერს იტყობინებოდა, მაგრამ მე ნაცნობების გადმოცემით ვიცი-დი, რომ ნინოს კარგი მოსამართლის სახე-ლი ჰქონდა მარტო იურიდიულ წრეებში კი არა, ხალხშიც. მკაცრი და სამართლია-ნიაო, ამბობდნენ; ვერავინ შეძლო ზეგა-ვლენა მოეხდინა მასზე. მერე ერთმა შა-რიანმა კაცმა მისი დაშინებაც კი სცადა — პროცესის დროს მაგნიტოფონი შეიტანა დარბაზში: ყველაფერს ჩავიწერ და მერე გიჩვენებ თავის თამაშასო. მოსამართლემ პროცესი წუთით შეწყვიტა, მორიგე მილი-ციელი გამოიძახა და ის კაცი, დამსწრეთა სიცილ-ხარბარში თავის მაგნიტოფონიანად გააძევეს დარბაზიდან. მეორეჯერ, სახელ-მწიფო ქონების დიდი ოდენობით დამტა-ცებელთა ჯგუფის საქმეს რომ არჩევდა, თითქმის ორ კვირას ვაგრძელებდი ეს პრო-ცესი, შეატყო, რომ ერთი კაფანდარა ბიჭი, ყოველდღე რომ ესწრებოდა პროცესს, მი-ჯდებოდა ხოლმე კუთხეში, მუხლებზე რვე-ულს გადაიშლიდა და გამალებით იწერდა ყველაფერს. ნინომ რვეული ჩამოართვა იმ ბიჭს, დახედა და... ლექსები არ გამო-დგა, გაიცინა მოსამართლემ, უკან დაუბრუ-ნა ბიჭს რვეული და თან დაძძინა: — ამა-ნაც, დახეთ, რა შესაფერი ადგილი იბოვა შთაგონებისათვისო.

იმ შემთხვევითი შეხვედრის შემდეგ სულ მისკენ მეძახოდა გული. ერთხელ, ზუსტად, ლაფანყურის ქუჩაზე მოვხვდი და მაშინვე გამახსენდა, რომ სწორედ ეს ქუჩა ჩამაწერინა ნინომ. გადავწყვიტე შევ-სულიყავი.

გიორგი ნაბროვილი

შევდივარ ოთახში, მეტი რა გზაა, ცოტა ხანს უნდა მოვიცადო.

მინიატურულ სკამებზე ჩამწკრივებული არიან ბავშვები. ჩანს, რაღაც თამაში შეე-წყვეტინე, ერთხანს ჩუმად სხედან; მას-პინძლობა რომ გამიწია, ის გოგო მაგიდა-ზე მიმოფანტულ გაზეთებს ერთად აწ-ყობს, ბავშვებზე მითითებს და ბოლიშის კილოზე მეუბნება.

— მეზობლები არიან... დედას კი დღეს რატომღაც შეაგვიანდა. იცით, პროცესი ხანდახან ძალიან ვაგრძელებდა ხოლმე...

გზივარ და უხებურად ვთვალთვრებ ოთახს. კედელზე ვრძალად გაკრული ქაღა-ლდი დავინახე, ზედ მსხვილი ასოებით წარწერილი იყო:

„გაუფრთხილდით სოციალისტურ საკუთ-რებას, თვალისჩინივით დაიცავი იგი!“

ჭეშმარიტებაა. რა თქმა უნდა, ეს უპირ-ველესი მცნებათა მცნებაა და მარტო მო-სამართლეს კი არა, ყოველ მოქალაქეს უნდა ახსოვდეს, მაგრამ შინ, ბინაზე, ისიც საწოლის თავით, რა საჭირო იყო ამ სიტყვების წარწერა!

უტებ მივხვდი ყველაფერს: წარწერაზე ბავშვის ხელი ვიციანი.

— შენ ია ხარ, არა?

გოგონამ თავი დამიქნია.

— ეს შენ დაწერე?

ისევ თავის დაქნევით მიპასუხა.

— რად გინდოდა?

— იმიტომ, რომ დედამ ყოველ დილით წაიკითხოს, სამსახურში წასვლის წინ. არ უნდა დაავიწყდეს, თორემ ნამეტანი გადა-ირია ქვეყანა... თავი აიშვეს.

სსრკ-ის კონცეფცია



აჩქარება და გარდაქმნა ჩვენი დღევანდელი დღის მთავარ ღირებულებად იქცა. ამ სიტყვებმა დღეს ისეთივე რევოლუციური ჟღერადობა შეიძინეს, როგორც თავის დროზე ჰქონდა სიტყვებს — „ინდუსტრიალიზაცია“, „კოლექტივიზაცია“, „კულტურული რევოლუცია“.

დაჩქარება მოიცავს მთლიანად სოციალისტური საზოგადოებას, მის ყველა მხარეს. ამასთანავე, საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკის წამყვან როლს თუ გავითვალისწინებთ, მთავარია სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარება, რომლის მეშვეობითაც ტარდება აქტიური სოციალური პოლიტიკა და თანამიმდევრულად მკვიდრდება სოციალური სამართლიანობის პრინციპი. დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს, აგრეთვე, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის — ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს.

დაჩქარების კონცეფციის შემუშავების ობიექტური საფუძველია ის მაღალი შედეგები, რომლებიც მიღწეულია სოციალისტური საზოგადოების განვითარების პროცესში.

მაგრამ მიღწეულ წარმატებებთან ერთად 70-იან წლებში საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში თავი იჩინა ნეგატიური პროცესებაც. სახალხო მეურნეობაში ეს გამოვლინდა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებით. როგორც ცნობილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველია ეროვნული შემოსავალი და მისი ზრდა, რაც უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის გაფართოებას, ისე ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდის დინამიკას განვიხილოთ ბოლო ოთხი ხუთწლიდან მანძილზე, ასეთ სურათს დავინახავთ: მერვე ხუთწლიდან (1966-1970 წწ.) ეროვნული შემოსავალი 41 პროცენტით გაიზარდა, მეათე ხუთწლიდან (1976-1980 წწ.) — 21 პროცენტით, ხოლო მეათერთმეტე ხუთწლიდან (1981-1985 წწ.) — მხოლოდ 17 პროცენტით. შემცირდა ეფექტიანობის რიგი მაჩვენებლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მეტ წილ სახეობათა პროდუქციის წარმოებამ ვერ მიაღწია ხუთწლიანი გეგმებით დასახულ მიზნებს, ვერ შესრულდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დავალებანი და ამიტომ მთლიანად ვერ განხორციელდა ამ წლებში სათვის დასახული სოციალური პროგრამა.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანი გულისხმობს და მოითხოვს ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ზრდას და პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. ამ კანონზომიერებებიდან ნებისმიერი გადახვევა და მისი ოდნავი შესუსტებაც კი, როცა საქმე ტენდენციას ეხება, უცხო და მიუღებელია სოციალისტური საზოგადოებისათვის. მაშასადამე, გამოსავალი მხოლოდ ერთია — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება თვითმიზანი კი არ არის ჩვენი საზოგადოებისათვის, არამედ მხოლოდ საშუალებაა ძირითადი მიზნის მიმდევრად.

დაჩქარებას, საშინაო ასპექტთან ერთად, საგარეოც აქვს. ქვეყნის ისტორიული ბედი, სოციალიზმის პოზიციები რთულ, მრავალფეროვან და წინააღმდეგობებით აღსავსე თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანწილად და მოკიდებული იმაზე, შეგძლებოდა თუ არა ჩვენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

დაჩქარების სტრატეგიაში ძირითადი ეკონომიკური ზრდის ტემპის საკითხი. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ სოციალიზმისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ამ კანონზომიერებას განაპირობებს სოციალისტური საკუთრების ბატონობა, ეკონომიკის განვითარების გეგმიანი ხასიათი და საწარმოო ძალებთან წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობა. ორი სისტემის შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის დონე, რაც სსრ კავშირში 1980 წელს შეადგენდა აშშ-ის დონის 40 პროცენტს. მრეწველობაში ეს განსხვავება შედარებით ნაკლებია — დაახლოებით 55 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენა განსაკუთრებით მკვეთრია — აშშ-ის დონის 20-25 პროცენტით.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შრომის მწარმოებლურობის დინამიკის ანალიზი გვიჩვენებს სსრ კავშირში შრომის მწარმოებლურობის დონის თანდათანობით მიახლოებას აშშ-ის შრომის მწარმოებლურობის დონესთან. კერძოდ, 1950 წელს მრეწველობაში განსხვავება შეადგენდა 70 პროცენტს, 1980 წელს იგი შემცირდა 45-მდე. 1966-1975 წლებში განსხვავება თითო პუნქტით მცირდებოდა. თუ ამ ტემპების ექსტრაპოლაციას მოვხდენთ, სხვაწარად რომ ვთქვათ, წინა პერიოდზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებს შემდგომზე გავავრცელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსხვავება გაქრება მომავალი საუკუნის მეორე ათწლეულისათვის. ამასთანავე მხედველობაში მისაღები მოცემული განაგარიშების პირობითი ხასიათი. მეცნიერულ-ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური პირობების შეცვლამ არსებითად შეიძლება იმოქმედოს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპზე. ხაზი უნდა გავიკავოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უკანასკნელ ათწლეულში არსებული ზოგიერთი ნეგატიური ტენდენციის მოუხდევად, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპი

სსრ კავშირში აღემატებოდა აშშ-ის ზრდის ტემპს. სხვაობა შეადგენდა შესაბამისად 1,6-სა და 1,7 პროცენტს.

დაჩქარების აუცილებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას — მათაც მწარმოებლობა სიძნელეებმაც განაპირობებს. როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა შრომის მწარმოებლურობის 30-40 პროცენტით გადიდებას, ფაქტობრივად კი 17 პროცენტით გადიდა. მეათერთმეტე ხუთწლიდან საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით ჩამორჩენამ 8-10 პროცენტზე შეადგინა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეროვნული შემოსავალი საშუალოდ წელიწადში 3 პროცენტით იზრდებოდა.

მეთორმეტე ხუთწლიანი დაჩქარების საწყისი პუნქტი უნდა ვახდენდით. შექმნილი მდგომარეობის ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე ხუთწლიანი გეგმა არ აყენებს მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრად გადიდებას ამოცანას. ეროვნული შემოსავალი 19-22 პროცენტით უნდა გაიზარდოს, შრომის მწარმოებლურობა — 19-21 პროცენტით. უნდა მომზადდეს სათანადო საფუძველი ეკონომიკაში მკვეთრი გარდატეხის მოსახდენად.

დაჩქარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ იგი გულისხმობს ეკონომიკის არა უბრალოდ ზრდას, არამედ ზრდის ახალი თვისებრიობის მიღწევას.

ზრდის ახალი თვისებრიობა ნიშნავს:

- სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის შეცვლას, ანუ ყურადღების გადატანას რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხსა და ეფექტიანობაზე, შუალედურიდან — საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან — მათ განახლებაზე, საბოლოო-სანედლეულო რესურსების გადიდებას — მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე; საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ანუ მეურნეობის იმ მეცნიერებატევადი დარგების კომპლექსის (გზატყეცილები, არხები, წყალსაცავები, ხიდები, აეროდრომები, რკინიგზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა. შ.) დაჩქარებულ განვითარებას, რომლებიც სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ემსახურებიან;

- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის პრიორიტეტის მინიჭებას;

- ეკონომიკის განვითარების უპირატესად ექსტენსიური (რაოდენობრივი ზრდის, გაფართოების) ტიპიდან უპირატესად ინტენსიურ (უკეთესი ხარისხის, ნაყოფიერების მომცემ) ტიპზე გადასვლას;

- სახალხო მეურნეობის ძირეულ გარდატეხას, რასაც წინ უძღვის დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, კადრების განახლება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

- დაჩქარება გარდაქმნით იწყება. გარდაქმნა კი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის აზროვნებაში, მის ფსიქოლოგიაში უნდა მოხდეს. ძველებური აზროვნებით, გაქვავებული სტერეოტიპებით, ძველი მეთოდებითა და მოძველებული იდეებით დაჩქარებას ვერ მივალდებით. დაჩქარებას სჭირდება შემოქმედებითი აზროვნება და გაბედული, ენერგიული მოქმედება.

ელკუა მუხამბეაილი,

ეკონომიკის მენეჯერმატა კანდიდატი, საქართველოს სსრ მინისტრმატა აკადემიკოსი ეკონომიკისა და საპროდუქციო ინტენსივობის უზენაესი მდიანი თანამშრომელი.



ფოტო ამანოუ ლავალიძისა. 1987

100 წლის ეროვნული ბიბლიოთეკა





პიტერ ბრეიგელი. მონადირეები თოვლზე.

XVI საუკუნის გენიალურ ნიდერლანდელ მხატვარს—პიტერ ბრეიგელ-უფროსს, თანამედროვეებმა მეტსახელად „გლეხური“ შეარქვეს. ამაში იყო, ალბათ, რადანარი სიმართლე: მას ხომ განსაკუთრებული ძალით იზიდავდა თავისი ხალხისა და ქვეყნის სახე, ხასიათი და ლანდშაფტები. ეს სურათი — „მონადირეები თოვლზე“ იყო ნაწილი თორმეტსურათიანი ციკლისა, რომელიც წელიწადის ოთხ დროს ეძღვნება. ამით პიტერ ბრეიგელმა განაგრძო შუასაუკუნოებრივ ევროპაში არსებული ტრადიცია — კალენდართა მოხატვა — სიმბოლური სცენებით.

მაგრამ საკალენდარო ილუსტრაციებისაგან განსხვავებით, ბრეიგელის სურათებს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც გააჩნიათ, თანაც მათი შინაარსი და ჩანაფიქრი გაცილებით უფრო ღრმა და ფილოსოფიურია.

დავაკვირდეთ ზამთრის ამ ლამაზ პეიზაჟს. აქ თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება — მონადირეები შინ ბრუნდებიან, შორს, ქალაქში, ფულფუსებენ გამვლელ-გამოვლელეები, გაყინულ ტბებზე მოციგურავეები დასრიალებენ. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ზამთრის იდილიაა. მაგრამ მხახველს ერთბაშად უჩნდება

ბა განუზომლად ფართო და ღრმა სივრცის შეცნობის გრძნობა, რომელიც თანდათან აღგვიძრავს ფიქრებს ბუნების უსასრულობისა და ქვეყნიერების უკიდურესობის შესახებ.

შემდგომი დაკვირვება გვარწმუნებს იმაში, რომ გრანდიოზულობის ეს შთაბეჭდილება არ არის შემთხვევითი, პირიქით, მხატვარმა აშკარად ყველა ღონე იხმარა მისი შექმნისა და გაძლიერებისთვის.

ასე, მაგალითად: უკანა პლანის შორეული პეიზაჟი ძალზე მაღლიდან, თითქოს მთის მწვერვალდან ან „ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან“ არის დანახული, თანაც ჰორიზონტის ხაზიც ძალზე მაღალია და უზარმაზარი პანორამის გაშლის საშუალებას იძლევა.

წინა პლანის დიდი ფიგურები კი თავისი მასშტაბურობით მკვეთრ კონტრასტს ქმნიან შორეულ უკანა პლანთან. ამით კიდევ უფრო ძლიერდება უსასრულო მანძილის შეგრძნება.

ამას გარდა, დავაკვირდეთ, როგორ ხაზგასმულად კვეთს სურათის ჩარჩო კომპოზიციის ელემენტებს — სახლს, ხეთა ღეროებს, ბუჩქებს... ამგვარი „შემთხვევითი კადრის“ ილუზიას არა მარტო უშუალოდ და ბუნებრივობა შემოაქვს, არამედ წა-

რმოსახვით აფართოებს კიდევ სურათზე რეალურად გამოსახულ სივრცეს.

ისეთი პატარა დეტალიც კი, როგორცაა ჰაერში აფრენილი ჩიტის შავი სილუეტი, არ არის შემთხვევითი ან უმნიშვნელო — სცადეთ მისი დაფარვა, და მაშინვე შესუსტდება სიღრმისა და ჰაერის შთაბეჭდილება.

აღსანიშნავია, რომ ბრეიგელთან ეს უსასრულო ქვეყნიერება სრულიადაც არაა უკაცრიელი და გარინდული — პირიქით, იგი აღსავსეა მოძრაობითა და სიცოცხლით, ადამიანებით. ადამიანისა და ბუნების ყოფა აქ ჰარმონიულადაა ერთიმეორეში შეერწყმული. სწორედ ამიტომაც გვეჩვენება ეს უსასრულო პანორამა ესოდენ მყუდროდ, ცოცხლად, და სწორედ ამითაა განპირობებული სურათის სითბო და კაცთმოყვარეობა.

მხატვარს საოცრად ბუნებრივად აქვს შეერწყმული ამ პეიზაჟში ორი ასპექტი: განზოგადოებულობა და კონკრეტულობა. არ შეიძლება არ შევიგრძნოთ აქ ბუნების ზოგადი, სიმბოლური სახე და ამასთან ერთად — რეალური ადგილი, დრო და მომენტი. რა სახასიათოდ და ცოცხლად გამოსახა ბრეიგელმა თეთრი თოვლისა და მომწვანო, ყინულისფერი ცის ფონზე გაშიშვლებული ხეების მუქი

სილუეტები. რა ცხადად იკითხება გამჭვირვალე ჰაერში ყოველი პატარა ტოტი და ყლორტი — ზუსტად ისე, როგორც ზამთრის სუსხიან ღდეს ხდება ხოლმე! საერთოდ, ყველა კონტური აქ მკაფიო და ნათელია, ფიგურათა ფორმები გამოსახულია დანაწევრების გარეშე, ზოგადად, თითქოს ლაქების სახით. მაგრამ ამ ლაქების სილუეტები იმდენად მეტყველია და სახასიათო, რომ მათი მოძრაობები და პოზები სრულ დამაჯერებლობას იძენს.

რა ძლიერად ავლენს ყოველივე ეს სურათის განწყობას — ემოციურსა და ცოტა სევდიანს, ცოცხალი ადამიანურობითა და მხატვრის ოღნავი ღიმილით გამთბარს. ყველაფერში იგრძნობა სინაზე და დახვეწილობა.

პიტერ ბრეიგელის ეს სურათი, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, განსაკუთრებული უშუალოდობით, სიღრმითა და დამაჯერებლობითაა აღსავსე. ბრეიგელს, სულითა და ხორციით ნიდერლანდელს, უყვარდა და აინტერესებდა თავისი ერის ფოლკლორი, ისტორია, ყოფა და წეს-ჩვეულებები. ყოველივე ეს აისახა და განსაკუთრებული გამომსახველობით აივსო მის გენიალურ შემოქმედებაში.

თეა ჯალაღანი
ხელოვნებათმცოდნე.

მუსიკით — კბილებზე

ამას წინათ, ნიუ-იორკის პოლიციის სამმართველოში გარეუბნელმა მოქალაქემ, 58 წლის ჯორჯო დილარდმა დარეკა და განაცხადა, მართალია არც ჩემს ხანში და არც ახლომანლო არავითარი რადიომიმღები მოწყობილობა არა დგას, მაგრამ მაინც განუწყვეტლევ ჩამესმის რადიონარი წყნარი მუსიკის ხმა. პოლიციის მორიგემ ურჩია დაწოლილიყო და დაესვენა, ან ფსიქიატრისთვის მიემართა. მაგრამ საათიც არ გასულა, „დაწარალებულმა“ ქვლავ დარეკა: გინდა თუ არა, რაღაც „საიდუმლო“ მუსიკა მისცე არ ვისაუბრობს. გამოსახვლი არ იყო ვითარება ადგილზე შემოწმებას მოითხოვდა. მისვლისთანავე გარკვევა პოლიციის აგენტმა: დიან, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი რადიო-აპარატურა არ არსებობდა, დილარდის ბინაში წყნარი მუსიკის ხმა მაინც ისმოდა. ხელსაწყოების დახმარებით მიაკვლიეს იდუმალი „მიმღებს“ ხანლის პატრონის... ხელოვნურ ყბაში. სხვადასხვა მხალის ერთობლიობას წარმოექმნა ყბის ისეთი უნივერსალიზმი, რომ მან დაიწყო მახლობელი რადიოსატრანსლაციო ხადგურის გადაცემათა მიღება. პირის ღრუ და თავის ქალის ძვლები ერთგვარ გამძლეობადა და რეზონატორად იქცნენ. დილარდმა პირიდან გამოიღო თუ არა ყბა, მუსიკაც შეწყდა.

ყოველივე ამოვიკითხეთ ამერიკულ ჟურნალ „თაიმს“-ში.

მძლოლო, ნუ გძინავს საჭესთან!

რასაკვირველია, ეს მოწოდება საუკეთესო კეთილშობილური მოსახრებებით არის ნაკარნახევი, მაგრამ როგორ მივხედოთ მას? აჟი, მარტოლოდ შეგონებანი და ხვეწნა-მუდარა არ კმარა!

ფრანგული ჟურნალი „სიანს ე ვი“ გვაუწყებს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში იმ მოწყობილობის პატენტი გაუფორმებიათ, რომელმაც გრძელი გზით დაღლილ-დაქანცულ მძღოლის საჭესთან ჩაძინების „შანსი“ უნდა მოუხსნოს. ფრანგ სატექნიკოსებმა მონაცემებით, საჭესთან ძილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამომწვევს მეორე სერიოზულ მიზეზად ითვლება. მძღოლთა დაღლილობაზე და ამის შედეგად უკვე საჭესთან ჩაძინებაზე მოვლად ყველა არსებული ტრავმის 14,9 პროცენტის და სასაკვადლო შედეგთა 20,6 პროცენტის. ძილი, ზოგჯერ, ადამიანს იმდენად დაღლილობისგან კი არ „დაიმონებს“ ხოლმე, რამდენადაც მსუყე და ღაზათიანი საილის გამო. მაგრამ, იქნებ, როგორმე, წინაღუდღეთ იმას, რომ მძღოლმა (როგორც იტყვიან) თავი არ ჩაქინდროს?

დადგენილია: საჭესთან ჩაძინებუ-

ლი მძღოლი თავს მექანიკურად ოდნავ წინ დახრის ხოლმე და არახდროს — უკან ან გვერდით. აი, სწორედ ამან დაფუძნებული ახალი ხელსაწყო იღია, რომელიც თავს ადევნებს მძღოლის თავის მოძრაობას, დახრილობის სხვადასხვა ხარისხს ზომავს და გარკვეული ზღვარის დარღვევისთანავე ხმოვან სიგნალს გამოსცემს. თავდახრის ზღვარი ყოველი მძღოლისთვის ინდივიდუალურად შეირჩევა.

მოწყობილობის ფორმა ყურის მიდამოებში რაც შეიძლება მარჯვედ მორგებას ითვალისწინებს და 86-დეციბელის სიმძლავრეს წინა სფერულ-ყვრივანი ძვალთან და პერაზიცი ერთდროულად გამოსცემს. აუსტიკური მრუდის მწვერვალი 2.000 ჰერცის სიხშირის ზონაში მდებარეობს. ამბობენ, ადამიანის ყური ამ სიხშირეს ყველაზე უკეთ იჭერს. აღნიშნული აპარატი მინიატურულ ბატარეასთან ერთად მხოლოდ 15 გრამს იწონის. უურნალის აპარით, აპარატს გამოიყენებენ მხოლოდ ტრანსპორტზე კი არა, არამედ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი საშუალო შესრულებისა ძალზე ფიზიკალად უნდა იქცეოდეს, რადგან თავდაცვითი საშუალო პროცენსი (მაგალითად, გამოთვლელი მანქანების მოქმედებით კონტროლი) საოცრად მონოტონურ ხასიათს ატარებს.

სხე ცოტა ალკოჰოლიკი იპრონიავში?

სამედვიციო სტატისტიკამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ იპრონიავში ბევრად უფრო ცოტანი არიან ალკოჰოლიკები, ვიდრე სხვა დაზარალებული განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში. ადამიანის გენეტიკის ჰამბურგის ინსტიტუტის სპეციალისტმა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო: მიზეზია იპრონიელთა მემკვიდრეობითი თავისებურებანი.

ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი სპირტი იშლება ორ ფერმენტად. თავდაპირველად, მოქმედებას იწყებს ალკოჰოლდეჰიდროგენაზა, სპირტს კიდევ უფრო მოშუშავს ნივთიერებად, ძმრის აღდგენად რომ აქცევს. მეორე ფერმენტი კი, აღდგენილიმდეპროდუცენაზა — აღდგენს ძმრის მთავად გადაქცევს, ცოცხალი უჯრედის ნივთიერების ნორმალურ შემადგენელ ნაწილად. სიმუხვე შემდგომში იშლება წყლად და ნახშირ-ღეჯა გახლდა.

მედიკოსთა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ იპრონიელთა თითქმის ნახევრის ორგანიზმში გამოყოფის ძლიანი ცოტა აღდგენილიმდეპროდუცენაზას, ამიტომაც, ალკოჰოლის დოზის მიღების შემდეგ მათ სისხლში გროვდება და დიდხანს რჩება ძმრის აღდგენილი, ძალზე უსიამოვნო ეფექტებს რომ იწვევს — სუნთქვის გაძნელებას, მატისციემის ამოვარდნას, გულის რე-

ას, თავი ქალის არესა და შერდში სიმუხრვალის შეგრძნებას. საქმარისია ითქვას, რომ ალკოჰოლის შეძლების გამოსამუშავებელი ცნობილი ნივთიერება ანტაბუსის შემოქმედება დამოკიდებულია სწორედ აღდგენილიმდეპროდუცენაზა ბლოკირებაზე. ასეთი მემკვიდრეობითი ნაკლოვანებებით „შემკული“ ადამიანი კი თითქმის ვერ იტანს სპირტიან სასმელს.

ადამიანის ტვინის რეზერვუი

დაახლოებით 25 წლის ასაკიდან მოყოლებული, ადამიანის ტვინი ყოველდღეურად კარგავს რამდენიმე ათეულ ათას ნეირონს, ხოლო 40 წლის შემდეგ — ყოველდღეურად კვდება თითქმის 100.000 ნეირონი. ასე რომ, 90 წლის ასაკისათვის ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ტვინის ნერვული უჯრედების მეთათი ნაწილი, მაგრამ ვინაიდან თვით ყველაზე ინტენსიური გონებრივი მუშაობის დროსაც კი ჩვენ საკუთარი ნეირონების მხოლოდ მეოთხედს ვტივროთავთ, რეზერვუი საქმარისად გვრჩება. ტვინის დაბერების თავიდან ასაცილებელი გამოკვლევების საფრანგეთის ეროვნულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა „ტვინის ვარჯიშთა“ სისტემა ხანდაზმულთათვის. ვარჯიშები გამოწვლდა ფარული რეზერვების ასაქმედებლად, რაც გამოიწვევს ნერვულ უჯრედს კვდომის კომპენსაციას.

ჰურმანები და ეპოლოგია

ინდოეთსა და ბანგლადეშში ბაყაყების უკონტროლო მოსპობის შედეგად, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ უიყინა ცხოველის ფეხები ჰურმანებს საუცხოო დელიკატესად მიაჩნიათ, ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში წამოჭრილია მეტად სერიოზული ეკოლოგიური პრობლემა. 1988 წელს ამ ორი ქვეყნიდან შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და დასავლეთ ევროპაში გახიდას 150 მილიონი ბაყაყი. გამოთვლილია, რომ მხოლოდ ბანგლადეშში გაანადგურეს 70 მილიონი ცალი, ხოლო, როგორც ცნობილია, ეს რაოდენობა სპობდა ას ტონა მწერს და მათ შორის — კოლოსაც!... ამ წყალ-ხმელეთა არსებათა განადგურება მალარიის ეპიდემიის გაჩენისა და სოფლის მეურნეობისათვის მავნე მდრღენელთა მოძღობების საფრთხეს ქმნის... ასე რომ, ბაყაყი ერთობ სერიოზულ დამოკიდებულებასაც მოითხოვს და ლოგიკურ ეკოლოგიურ გაფრთხილებასაც.

ახალი საბანი სასწავლო პროგრამაში

ინდოეთის კარნატაკის შტატის სოფელ დხოლგარვადის სკოლის სა-

სწავლო პროგრამაში ახალი საგანი გამოჩნდა — „გველთმცოდნეობა“. ამ საგნის სწავლებისას მასწავლებლები ბავშვებს უხსნიან გაკვეთილებზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა გველთან „პირისპირ“ შეხვედრისას, რა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ კბენის შემთხვევაში და ასე შემდეგ. სკოლაში შექმნილია ტერარიუმი, სადაც 200 სხვადასხვა ჯიშის ქვეწარმავალი ბინადრობს — მაგალითად სამეფო, შვიც და ჩვეულებრივი კობრა, პიტონი და ა. შ.

გლან მილერის ისტორია

ჩემი სტიუარტის „ოსკარის“ პრემიით დაჯილდოებასთან დაკავშირებით მთლიანად მისი შემოქმედების გამო, აღდგენილია ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი „გლან მილერის ისტორია“ ამ ბრწყინვალე ამერიკელი მხასიობის მონაწილეობით. უახლეს ტექნიკურ საშუალებათა წყალობით გაუმჯობესებულია ხმაც და გამოსახულებაც. სცენარი დიდი სიზუსტით გადმოგვცემს მეორე მსოფლიო ომის დროს თვითმფრინავის კატასტროფაში დაღუპული სახელგანთქმული ჯარისკაცი კომპოზიტორისა და ორკესტრანტის ცხოვრებას. მთავარი როლის შემსრულებელ ჩემი სტიუარტის გარდა ფილმში თამაშობს ჯიუნ ალისონიც. რეჟისორია ენტონი მანი.

მადლო გა — ნათალი გის

პოპულარულმა მომღერალმა ჯონი ჰოლიდემ გადაწყვიტა, ორი-სამი წლით მიატოვოს ესტრადა და მთლიანად მიუძღვნას თავი კინოს. უანლიუკ გოლარის „დეტექტივის“ შემდეგ იგი მონაწილეობს კოსტა ჰავრასის „საოჯახო თაბირში“. აი რას ამბობს თვითონ მომღერალი.

— მართალია, ოცი წლის წინათ მე ვითამაშე სილვი ვართანთან ერთად ფილმში „საიდან მოხვედრი, ჯონი?“, მაგრამ ჩემი აზრით, ეს არ იყო ნამდვილი კინოსურათი და საშუალებაც არ მქონდა სრულად გამომჩინება თავი, როგორც მხასიობს. წლები მანძილზე ვმღერობდი, ვსტოდი, ათასგვარ ოინბაზურ ტრიუქს ვაკეთებდი სცენაზე, მაგრამ, როგორც ამჟამად მესახება, ესტრადა მაინც უფრო ახალგაზრდებისათვის არის ზედგამოჭრილი... სრულიდაც არ ვნანობ, რომ გარკვეული პერიოდით ვემშვიდობებდი ესტრადას. კინოში მუშაობა გაცილებით მეტ კმაყოფილებას მანიჭებს. უდიდეს მადლობას მოვასხენებ ნათალი გის, რომელმაც დღეს ნამდვილი კინოს საშუაროში შემეყვანა, იმ ჯადოსნურ საშუაროში, რომელიც მანამდე ჩემთვის სრულიად უცხო და მიუღწეველი იყო.



საქართველოს საგარეო საზღვაო საზღვაო

ნიკოლოზ ტიხომოვი

სამამულო ომის დაწყებამდე ყოველ წელიწადს მთებში დავდიოდი. როდესაც მხარზე ალპინისტის ჩანთას წამოვიკიდებდი, ვიწრო ბილიკზე ფეხს დავადგამდი. და მთის ნიავი შუბლს გამიგრებებდა, ვგრძობდი, რომ ხელახლა შევდიოდი დიდ საკვირველებათა სამყაროში, სადაც ყოველ ცისმარედღეს თვალწინ აილანდებოდა მთის დაუსრულებელი გრებილები. მწვანე ბალახზე მივლულავდი თვალს ან ქვებზე ჩავთვლემდი, უღელტეხილის ახლოს, ან თოვლზე გაშლილ სიფრიფანა კარავში, ყურს მივუგდებდი მთის მღუმარებას. თავს მოვევლებოდი ყინვის კოშკების მოზარნიშებულ მწვერვლებს. კოცონის პირას მოვუსმენდი მთებზე შეყვარებულ ადამიანებს. სულ უბრალო საქმელით მოვიკლავდი შიმშილს. უბრალო წყალს დავლევდი და მთათა უბრალო ბედნიერებას საგზლად წამოვიღებდი.

რუსი პოეტები ეტრფოდნენ კავკასიას, სხვადასხვანაირად ეტრფოდნენ. არც პუშკინსა და არც ლერმონტოვს ფეხი არ შეუღღამთ მთათა იმ ილუმალსამეფოში, სადაც ახლა თავისუფლად დაიარებთან მოგზაურები და მთამსვლელები. ისინი არასოდეს არ ასულან მყინვარებზე, იალბუხსაც კი შორიდან ჰკრეტდნენ. იალბუხთან მიახლოება სიკვდილით ემუქრებოდა იმ დროს ადამიანს. ლერმონტოვი ბერმაპიტიდან ხატავდა იალბუხს. საბჭოების ხანაში გაიხსნა მთის ყველა გზა, მრავალი შესადლებლობა გადაიშალა მთაში მოგზაურობის მოყვარულთა წინაშე.

ახლა არ იკითხავთ, რა ლამაზია მთაში გაზაფხული! ფირუ-

ზისფერი ცა უცებ მოიქუფრება ყომრალი ღრუბლებით. დაუშვებს კისკასა, კამკამა წვიმა, მენი კვეთს სივრცეს და მთები რომ სამჯერ შეაშველებენ გამოძახილს, კისრისტენით გადაეშვება ყველაზე უფრო ღრმა უფსკრულში. ლოდები მოგორავენ ციციბოზე, ამოძრავდება ქვის მთელი ნაკადი. ღრიალებენ მოდიდებული მდინარეები, სწრაფზე უსწრაფესად მოექანებიან ნაკადულები, ერთიან აქაფებულ, აბუყბუყებულ სტიქიას, ხეობებში რომ თარეშობს. სიმწვანე ლივლივებს უთვალავი თვალმარგალიტით, ცის მანანით განზანილი აბრეშუმის სინატიფით შრიალებს ქარის შემობერვაზე, რომელიც მწვერვალთან ეშვება ქვემოთ და დემონური ზეიმით მიილტვის ციციბოზე დაკიდებული ტყეების თავზე, ქორხორს უვარცხნის ცადატყორცნილ ნახევებს და ალპიური მიწდვრების სათაფლეში იძირება, სადაც არნახული სურნელებაა გაბნეული. დაბლობებში კი, სადაც ბალახში ცხენიანი კაციც კი დაიმალება, მარმარილოს ლოდებზე გამკვირვალე წყალი მოედინება და მალა, ცაში, არწივები დატურავენ. ანდა ქორი შერჩენია ცას, თითქოს ზედ ვილაცას მიუჭედებიაო.

ქვემოდან, ციციბო ბილიკზე მოიზლაზნებოდა რქებმოგრეხილი ვეება ხარი. ხარი ზარმაცად ლეჭავდა ბალახს, რქებშუა კი მთელი აული მოჩანდა, აი ისა, მეზობელ კალთას რომ შეჭფენოდა ხეობის გადაღმა. მოწითალო ნათელი ასხივონებდა მთელ ამ სანახაობას. მე ისე აღმიტაცა ყოველივემ, რომ ლექსი დავწერე, რათა აღმებეჭდა დანახული.

როდესაც მე და რევისორი არშტამი მასალებს ვკრებდით სცეხარ „მეგობრებისათვის“,

ინგუშეთის ყრუ ხეობაში შევედით, ოსეთის შუაგულში, ყაბარდოსა და ბალყარეთის მთებში მივიკვლევდით გზას, კვალდაკვალ მივსდევდით ოქტომბრის გმირთა ნაფხურებს. გზადაგზა გვხვდებოდა გამოქვაბულები, სადაც სამოქალაქო ომის ეპოქის პარტიზანები ათევდნენ ლამეებს. ინგუშეთის სოფლების ქვის კოშკებში ვრჩებოდით, ბილიკების მაგივრად ქვის კიბეებს ავყავდით მალა და მალა, გზას ვიკაფავდით მქუხარე თერგის ნაპირ-ნაპირ, უსიერ ტერვში, ვსველდებოდით ტროპიკულ წვიმაში, მუნღამდე ტალახში ამოსვრილი მივებჩვებდით ვადარეცილ გზებზე.

იმ გზას მივყვებოდით, რომელზედაც ოდესღაც სერგო ორჯონიკიძემ და სერგეი მირონის ძე კიროვმა გაიარეს. ასინის ხეობის ვიწროებში ინგუშეთის ერთი ძველებური აულია შეყუჟული. პუის ეძახიან. როცა ერთი აქაური დედაბერი ლოგინს მიშლიდა, მითხრა, აქ სერგოს ეძინაო.

დილაბნელზე ჩვენ უკვე დავადექით იმ ბილიკს, რომელსაც ხევსურეთში ვადაყუახართ. ვაზაფხული ზეიმობდა ირგვლივ, განუწყვეტლვ გვესმოდა მდინარის ხმაური, კალთებზე შეფენილი ბუჩქნარის შრიალი, თოვლიანი მთებიდან მონაბერი ქარის ქშინვა. ბილიკი უეცრად გათავდა. ეს ბილიკი ოცი წლის წინათ მივევიწყებინათ, რადგან მდინარეზე ვადასავლელო არსად იყო, ეს კი იმის გამო მოხდა, რომ ინგუშებსა და ხევსურებს შუა შავ კატას გაერბინა. ამ შულის გაღვივება ადვილი იყო — ერთნი ნახევრად წარმართნი, ნახევრად ქრისტიანები იყვნენ, მეორენი კი — ნახევრად წარმართნი, ნახევრად მუსულმანები.

თითქმის ოცი წლის წინათ სერგო ორჯონიკიძე მაინც უგზო-უკვლოდ გადავიდა აქედან ინგუშეთში. ეს იყო თქმულება, კაციშვილს რომ არ ჩაუწერია და არც არავის ვაუგონია. ჩვენ შეგვყურებდით ხეობის უღრან ტყეებს და გვეჩვენებოდა, რომ მომწვანო სიბნელეში უშიშრად მიდიოდა წინ ორი მხედარი, ტკბილ ხალხურ სიმღერებს მიიძღეროდნენ, ვხედავდი მათ შავ ნაბლებს და... თვითონ მათ — კავკასიის ოქტომბრის ლეგენდარულ გმირებს: სერგო ორჯონიკიძეს და მის მხენ თანამგზავრს ალბაგაჩიევს. ამ ქედლიდან შორს აღარ იყო იალბუხი. აქ ხომ ოდესღაც გულადი ჰაბუკი ბეტალ კალმიკოვი სერგეი მირონის ძე კიროვს აცილებდა დიდ მთაზე. ალბათ მაშინაც ასევე ბრწყინავდა ახალი თოვლი იალბუხზე, რო-

დესაც ჯანღონით სავსე კლამიანები კიროვის ზეგლმდებოდნენ მთისწინ უღელტეხილზე, წარსარკადს ესვლება აქ ზამთრობითო, ამტკიცებდნენ სამხედრო სპეციალისტები, მაგრამ წითელი არმიის მეომრებმა შეუძლებელი შეძლეს.


თუკი კავკასიონის მყინვარებში შეიჭრებით, საყუთარი თვალთ დაინახავთ ყინულის მრავალსართულიან კოშკებს, რომლებიც გამაყრუებელი გუგუნით იმსხვრევიან, დაინახავთ ატლასის კედელთა ნაბზარებს, რომლებიც უძირო უფსკრულში ეშვებიან, გაივლით თოვლიან ბილიკებზე, ციციბოს პირას რომ გაგიყვანენ. აქედან იგავ-მიუწვდომელი სანახაობა იშლება ადამიანის თვალწინ. დაინახავთ მომწვანო ცამდე აზიდულ უშბისა და შხელას დიდებულ კოშკებს, ანდა გუზინგის კედელს გადაღვენებთ თვალს მზის ამოსვლისას, თავისი მთელი სიდიადით რომ ამოიმათება დილის ნისლიდან და ეს მთის სამყარო ისეთ გრძნობას ვაგატანთ თან, რომელსაც დიდხანს ვერ დაივიწყებთ.

მე მიყვარს მთები, როდესაც შემოდგომა წითელ-ყვითელი ფოთლებით მოჭფენს დაბლობებს, ფაფუკი თოვლი ამოავსებს ყოველ პატარა ორმოს და ყოველ პაწაწა მწვერვალს მიუღვამელ, ამაყ ციხე-დარბაზად აქცევს, როდესაც კოწახური კოცონივით ანთია თოვლზე მთის მყუდრო ტყეში, სადაც არ ისმის ფრინველთა ჰიკიკიკი, ხეობას თავს დასტრიალებენ მშვიერი ქორები და დალოილ, გადაფრენის დროს გუნდს ჩამორჩენილ მწყურებზე ნადირობენ. საიდანღაც კი გარკვევით ჩაგე-სმის, როგორი — გუგუნით მოექანება მთებიდან ზვავი, როგორ იმეორებს ამ გუგუნს ხეობა.

მე მიყვარს მთები, სადაც გულადი მთამსვლელები ციციბო კლდეებს უტყვენ, უფსკრულის თავზე დაკიდებულ საქანელასავით ქანაობენ, ზემოთ და ზემოთ ეძებენ ახალ გზებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებიან ფლატეს და ბოლოს და ბოლოს ძალა გამოლოუტნი და ამაყნი აღიან მწვერვალზე, საიდანაც სულ სხვანაირი მოჩანს ქვეყანა, სადაც გული დიდი სიხარულით იმსჭვალება.


მიყვარხართ, მთებო, მიყვარხართ, ძველი და დიდი სიყვარულით. ვერც ზღვა, ვერც ტყე და ვერც ტრამალი ვერ შეგადრებათ თქვენ. ყველა კარგია, მაგრამ თქვენ უკეთესი ხართ ყველაფერზე.

თარგმანი
რევაზ ჯაფარიძისა.



იმისად ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებო.
ის აძლევს სიცოცხლეს ბუნებას, ჩვენს მინდვრებსა და წერებს.
ის აჭმევს, ასმევს და მკურნალობს ადამიანს. ის ნაცნობიც არის და მარად შეუცნობელიც. სტიქიათა შორის უძველესს, ორგვარი ბუნება აქვს — კეთილიცა და ბოროტიც, „ემოციონალურიცა“ და „ლოგიკურიცა“. ეგზოტური გვიყვება ასეთ ამბავს: თურმე საფრანგეთში სტუმრობდნენ ბელუინთა ტომების ბელადები. პარიზისა და ვერხალის სასახლეების, ტრიუმფული თაღისა და ეიფელის კოშკის, მუზეუმებისა და ქარხნების შემდეგ ჩანჩქერთან მიუყვანათ სტუმრები. გავიდა ხუთი, ათი, ოცი

ბუნებისა და ბარათაშვილის ქუჩებზე ჩამოდიოდა. დღეს კი ამ ქუჩების ქვეშაა დამწყვედელი და მტკვარს ბარათაშვილის ხიდის ხელმარჯვნივ უერთდება.
მიუხედავად იმისა, რომ თბილისს მტკვარი ჩამოუდის და თანაც ცხელი მინერალური წყლების ბალიშზე წევს, სასმელი წყაროს წყლები მაინც არ მყოფნის და აშიტომ სანამ წყალგაყვანილობა გამოვიდოდა, მისი მთავარი წყალმომარაგებელი მტკვარი იყო.
1861 წელს მიწათმფლობელმა ყორღანოვმა კომუნარების ბაღის პირდაპირ დადგა წყლის საქაჩი ორთქლის მანქანა, რომელიც მტკვრის წყალს თხუთმეტი საუენის სიმაღლეზე სწევდა და ორ ხის რეზერვუ-



პირველი წყალსაქაჩი თბილისში, აშენებული ყორღანოვის მიერ 1861 წელს.

ქვემოთაა
ნიკოლოზი

ჩარხი უპროფესიონალი

წუთი — უდაბნოს მკვიდრი მოკადრებულბი იდგნენ და გოგენბუღნი შეხურებულნი კლდიდან გადმოქუებულ ბროლის მძლავრ ნაკადს. ტურისტული გრაფიკიდან ამოვარდნილი ექსპურსიაში მდლო ი ამაოდ ხვდებოდა შათ: — წავიდეთ, კმარა, რაღა აქ საინტერესო?
— ცოტა კიდევ დავიციადოთ, — ინვენიტორდნენ ბედუინები.
— როდემდე ვიცადოთ?
— სანამ წყალი ჩამოთავდება...
იმ ბედუინებს, რასაკვირველია, წარმოდგინა არ ქანებოდათ „უკვდავების წყლები“ შეწყულ ისეთ პატარა ქვეყანაზე, როგორც საქართველოა. აქ ხომ წყლის კულტი ძლიერი იყო ოდითაგან. წყალი — „ქვეყნის დამამშვენებელი, საამო, გაპირებისაგან მხსნელი, შევბუნების მომხიბვლელი, პატონებთა, სინდისიანობა, ბედნიერება“, თავვანისცემისა და ამავე დროს შიშისა და ძრწოლის საგანიც გახლდათ.
— ჩემი მიწა-წყალიო! — ამბობს ქართველი. მიწასთან ერთად წყალსაც იფიცებს, უწყლოდ მიწას ახარა ფსის აქვს დღედაღამი არ იყო, მთავარ ქალაქსაც დედას უწოდებს და მთავარ მდინარესაც დედადინარე, თორემ ისე პირველს თბილისი ჰქვია, მეორეს კი მტკვარი.
თბილისი! — ჭალარა და მანინ მარად ჭაბუკი, თხუთმეტი საუკუნის ტვირთით მხრებდამიმეხული, 458 წლიდან ურჭულდობაგან ორმოცდერ დანგრეული, მიწასთან გასწორებული, ფერფლიდან და ნანგრევებიდან მკვდრეთით აღმდგარი, მტკვრის დედუენით სმენადამტკვარი და სიცოცხლემომადლებული.
საუკუნეთა მანძილზე თბილისის ტაფობში გზას იკაფავდა მტკვარი, მარჯვნიდან სამი შენაკადით ივსებდა სიცოცხლეს: წავისის წყალი, სოლოლაკის ხევი რომ ჩამოდის, მას ლეღვთა ხევი რქმევია (დაბახანის ხევისაც ეძახოდნენ). მეორე შენაკადი ყოფილა ვერე, რომელსაც, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ქრძანებს, სკვირბუღის მდინარეც რქმევია. მესამე ავანანთ ხევი, დღევანდელი

არში აგროვებდა. აქედან თუჯისა და თიხის მიღებით გოლოვინის პრესპექტისა და სოლოლაკის უბნის მდიდარი მოქალაქეების ბინებში ვრცელდებოდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი ისე იყო დარჩენილი.
მაშინ გაჩნდნენ წყლის დამტარებლები, ტყავის ტომრებით, ეგრეთწოდებული „თულუხჩებით“ რომ ეზიდებოდნენ წყალს. მეთულუხჩები საგანგებო მისასვლელიებით ჩადიოდნენ მტკვრის ოდრო-ჩოდრო, კლდოვან, ციცაბო სანაპიროებზე, ამოქონდათ წყლით სავსე თულუხჩები და ცხენით ან სახედრით დაატარებდნენ ქალაქში. 1878 წლისათვის თბილისში სამასზე მეტი მეთულუხჩი იყო. ყოველ მათგანს თავისი უბანი და ქუჩა ჰქონდა მიჩნეული.
არტურ ლისტი წერდა: „...განსაკუთრებული სახის სულიერი არის აქ მეწყლი, შავი, დამწვარი და შვენილი დამწვარი; გაბმით მკვირალი: „აი, წყალი, წყალი“. წყალი დააქვს ტყავის დიდი თულუხჩებით, რომელიც გადაკიდებული აქვს ვირს ან ცხენს“.
გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავეს გეგმა. ამ გეგმით ავჭალის წყაროები, რომელიც თბილისიდან ჩრდილოეთით ათ კილომეტრზეა დაშორებული, თბილისში უნდა შემოეყვანათ. ეს წყაროები ავჭალის ვაკეზეა და წარმოადგენს ატმოსფერული ნალექებისა და შთის მდინარის — გლდანულას ნარევს.
ეს თბილისში პირველი წყალგაყვანილობაა და იგი მწყობრში ჩადგა 1887 წელს, ასი წლის წინ. თავიდან დღე-ღამეში 480 ათას ვედრე წყალს აწვდიდა თბილისს.
1900 წელს გაზეთ „ტიფლისისი ლისტოკში“ დიდუბელები ჩიოდნენ: „ჩვენ დიდუბელები საბოლოოდ ვიძირებით ტალახში. არ არის ქუჩებში გავლის არავითარი შესაძლებლობა, ირგვლივ ყველგან ჭაობებია და შეუძლებელია აღწერა იმისა, თუ როგორ ძნელ პირობებში შოულობენ აქ მცხოვრებნი წყალს. მთელ დიდუბეზე მოდის მხოლოდ ერთი ონკანი და ორი ვედრო წყალი რომ

მოიპოვოს, სადაც შორს მცხოვრებს უხდება ამაზე ბევრი შრომა და დრო დახარჯოს“.
1925 წელს დაიწყო ახალი საქიბო სამუშაოები.
თბილისთან ახლოს, ნატახტრისა და ბულაჩაურის რაიონებში მოქმედი წყაროების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მათი დებეტი და ხარისხი ქალაქის მოთხოვნილებას შეესაბამებოდა. 1929 წელს დაიწყო ნატახტრის წყალსადენის მშენებლობა, 1933 წელს კი თბილისში მიიღო ცივი, აქარა წყაროს წყალი და წამში 18.500 ლიტრის მომხმარებელი გახდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ქალაქში ნამდვილი ზეიმი გაიმართა.
1941 წელს დამთავრდა ნატახტრის მეორე რიგის მშენებლობა, ხოლო დიდი სამუშაო ომის შემდეგ წლებში ქალაქის საბჭომ ბულაჩაურის მძლავრ წყაროებს მიმართა. 1951 წელს თბილისში და რუსთავეა მიიდეს ბულაჩაურის წყალი.
გადიოდა დრო და ხანი. დედათბილისი კიდევ უფრო შლიდა მხრებს. სასმელი წყალი კი იგივე რაოდენობისა რჩებოდა. მაშინ გადწყდა, შთის მდინარის — იორის ბაზაზე აეგო თბილისის წყალსაცავი და იგი „თბილისის ზღვა“ გახლავთ.
1957 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა სამგორის წყალსადენის პირველი რიგი. ხუთი წლის შემდეგ მიხსმა სიმძლავრემ წამში 1100 ლიტრს მიადწია. კიდევ რამდენიმე წელი და, მწყობრშია ჭოპორტი — მისპციელების წყალსადენი წამში 1000 ლიტრის სიმძლავრით. 1985 წლის 26 დეკემბერს კი თბილისში მოვიდა უინვალის წყალი (დამატებით დღე-ღამეში 280 ათასი კუბური მეტრი).
წყალმომარაგების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით შარშანს სამგორის წყალსადენში ჩაერთო ფილტრების პირველი რიგი, რომელიც დამატებით 45 ათას კუბურ მეტრ წყალს აწვდის თბილისის ცალკეულ რაიონებს. წლებულს კი დამთავრდება დრმაღელის საფილტრო სადგურის მეორე რიგი, რითაც ქალაქს

დღე-ღამეში 250 ათასი კუბური მეტრი წყალი დაემატება.
ჩვენს ქვეყანაში სასმელი წყლის მოხმარების ნორმა ერთ სულ მოსახლეზე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა გათვალისწინებით დღე-ღამეში 300 ლიტრია. საქართველოსათვის ეს ციფრი ხუთასამდეა ახული. თბილისი იმ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავისი კლიმატური და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა გამო განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება აქვთ წყალზე.
მაშ, ასე: თბილისის წყალსადენი ასი წლისა! იგი არამარტო უძველესი, არამედ ექსპლუატაციისა და მართვის მხრივ ერთ-ერთი ურთულესია ჩვენს ქვეყანაში. ქალაქის ტერიტორია, რომელსაც უკავია მტკვრის ორივე სანაპირო და გარშემორტყმულია მთებით, გადაჭიმულია მტკვრის გაყოლებაზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მისი რთული რელიეფი გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. თუ ამას დავეუმატებთ თბილისელების წყალივით უკიდვანო დამოკიდებულებას წყლის ხარჭვისადმი, მაშინ ნაწილობრივ მაინც გახდება გასაგები, რატომ განიცდის თბილისი წყლის ნაკლებობას მიუხედავად იმისა, რომ მისი საუკუნოვანი წყალსადენის ჰაერთო სიგრძე 2600 კილომეტრია, მოქმედებს 45 მძლავრი სატუმბო სადგური, 300 ათასი კუბური ტევადობის ათასობით სამარაგო რეზერვუარი და სხვა ურთულესი ნაგებობანი 4000-მდე მომსახურე სპეციალისტით.
კარგადაა ნათქვამი: „ნეტარ ქება როგორ ითქმის ამ თბილის-ქალაქისაო, ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო, გარს ახვევია ბუნები, ჩარხი უბრუნავს წყლისასო!“
წურც მოკლებულეს ჩვენს დედაქალაქს ბუნების ეს ყველაზე ძვირფასი წიაღისეული, „ჩვეულებრივი სასწაული“ — წყალი და სულ წაღმა ებრუნოს მის ჩარხს.

საქართველოს მსოფლიო

აპარტიდი.

ბურების ენაზე აპარტიდი ნიშნავს ცალ-ცალკე ცხოვრებას — სასტიკი რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი რეაქციული წრეები მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ატარებენ. აფრიკელებს აიძულებენ, იცხოვრონ რეზერვაციებში — ეგრეთწოდებულ ბანტუსტანებში. მათ არა აქვთ მოქალაქეობრივი უფლებები. ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისათვის მათ თეთრკანიანებზე გაცილებით მცირე ხელფასს აძლევენ. ქვეყანაში დადგენილი წესების დარღვევა სიკვდილით ისჯება.

თითქმის ორი წელია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ წყდება შავკანიანი მოსახლეობის გამოსვლები. ამ გამოსვლებში აქტიურ როლს პროლეტარიატი თამაშობს. მასთან ერთად ბრძოლაში ებმება საზოგადოების სხვადასხვა ფენა: პროგრესული ინტელიგენცია, სტუდენტები და მოსწავლეები, საეკლესიო წრეები და სხვა. მათ ბრძოლას ხელმძღვანელობს „აფრიკის ეროვნული კონგრესი“, რომელიც არაღვგალურად მოქმედებს, ქვეყანაში იქმნება ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტი“, რომელიც ორ მილიონ აფრიკელს და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელს აერთიანებს. ხალხის ეკონომიკური, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად აქტიურად იბრძვის აგრეთვე ისეთი ძლიერი პროფკავშირული ორგანიზაცია, როგორცაა „სამხრეთ აფრიკის პროფკავშირთა კონგრესი“ (შეიქმნა 1985 წელს).

დასავლეთის ქვეყნების მთავრობები და მონოპოლისტური წრეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა აპარტიდის რეჟიმს ეკონომიკური და სამხედრო დახმარება გაუწიონ. აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოების ტრანსნეოკონომიკური კორპორაციების მონაწილეობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის დარგები, რომლებიც მის მაღალ ეკონომიკურ პოტენციალს

განსაზღვრავენ. რასისტული რეჟიმის მხარდაჭერის მიზეზია კაპიტალისტური სახელმწიფოების მისწრაფება, ხელთ იგდონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მინერალური რესურსები.

როგორც სოციალისტური, ასევე განვითარებადი ქვეყნები გამოხენ რეაქციული მმართველობის პოლიტიკას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული რიგი დოკუმენტი აპარტიდის აღიარებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას.

ლოგი.

(ინგლისური — კულუარები) — მაღალი ხელფასების მქონე ბურჟუაზიული საქმოსნები (იურისტები, ყოფილი კონგრესმენები და სხვ.), მსხვილი ბანკებისა და კაპიტალისტური მონოპოლიების აგენტები, რომლებიც აშშ-ის კონგრესისა და რიგი შტატის საკანონმდებლო ორგანოების კულუარებში მოქმედებენ. კონგრესმენების, მთავრობის წევრების და სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკების მოქროთავითაა და ახერხებს ამა თუ იმ კანონპროექტის დამტკიცებას თუ უარყოფას, მთავრობის შეკვეთებისა და სუბსიდიების მიღებას, ხელსაყრელ სახელმწიფო თანამდებობებზე თავისი წარმომადგენლების დანიშვნას და სხვ.

ბრანსნეოკონომიკური კორპორაცია.

(ლათინური — ფარგლებს გარეთ, გაერთიანება) — დიდი კაპიტალისტური გაერთიანებები, რომლებიც კონტროლს უწევენ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ტრანსნეოკონომიკური კორპორაციების შეთანხმებები სამთავრობათაშორისო და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების ფორმას იღებენ. მათი მოქმედება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებას იწვევს, ხშირად უპირისპირდება იმ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, რომლებშიც ისინი მოქმედებენ. აძლიერებს მშრომელთა ექსპლუატაციას, აღრმავებს შეუსაბამობას წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათსა და შრომის შედეგების მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის.

ამჟამად ტრანსნეოკონომიკური კორპორაციები კონტროლს უწევენ ყოფილი კოლონიების და ნახევრადკოლონიების სამრეწველო პოტენციალის და საგარეო ვაჭრობის ნახევარს.

ისინი დიდად უშლიან ხელს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

80-იანი წლებში ტრანსნეოკონომიკური კორპორაციების წილად მოდიოდა სამრეწველო წარმოების მესამედზე მეტი, საგარეო ვაჭრობის ნახევარზე მეტი, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის პატენტების დაახლოებით 80 პროცენტი.

ტრანსნეოკონომიკური კორპორაციების ბირთვის შეადგენენ ამერიკის გაერთიანებები. მათ მიერ საზღვარგარეთ შექმნილი საწარმოების კომპლექსი დამატებით იყენებს მუშა-მოსამსახურეთა არმიას, რომელიც რიცხვით თვით ამერიკის შეერთებული შტატების დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა ნახევარს შეადგენს.

„იმპერიალიზმის მხარდამხალი“.

მეტროპოლია (ბერძნული — დედა, ქალაქი) — კოლონიური სისტემის დაშლის პირობებში იმპერიალისტური სახელმწიფოების, განსაკუთრებით აშშ-ის გლობალური შეტევა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, რათა ხელი შეუშალოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მათში უცხოური მონოპოლიების საკუთრების ნაციონალიზაციას და ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის შექმნას, სოციალისტურ ორიენტაციაზე გადასვლას და სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობას.

აშშ-ის საგარეოპოლიტიკური კურსი ყოველთვის ემხრობოდა რეაქციას და ხელს უწყობდა მას. თეთრ სახლში რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლამ გაზარდა ამ მხარდაჭერის მასშტაბები.

იმპერიალიზმის კურსს ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა. სსრკ საგარეო პოლიტიკური პროგრამის ძირითადი ამოცანებია: გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, იარაღის მარაგის შემცირება, განიარაღება, ჯერ კიდევ არსებული ომის კერების ლიკვიდაცია, კოლონიალიზმისა და რასიზმის განადგურება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება, მისი განხორციელება სახელმწიფოთა შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების საშუალებით, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დისკრიმინაციისა და არათანასწორუფლებიანობის აღმოფხვრა.

შთერ რაქკიაზვილი



თან რომაა დაკავშირებული, ასეთად აქცია. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ცოტა სხვანაირი ჩანს: გულგახსნილია, მაგრამ გულჩახურული ჰგონიათ. აკი თვითონვე თქვა თავის თავზე:

ერთი შეხედვით უზომოდ მკაცრი, ახლოს არავის არ იკარებდა და იდგა, როგორც სხვა დროის კაცი, ფოთლებდაცვნილ ბალის კარებთან.

არა, იგი ამ დროის კაცია და, „ფოთლებდაცვნილი ბალის კარები“ მხოლოდ საჭირო ფონია გამორჩეულ პოეტურ ქვეყანაში შესასვლელად.

ქუთაისში, რომევიჩის ქუჩაზე, ფოსტატელეგრაფის ქვემოთ, თეთრი, ნათალი ქვით ნაგები სამსართულიანი შენობაა. თავის დროზე ეს შენობა საკუთარი სახსრებით აუგია ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს მარიამ ყაუხჩიშვილს. შემდეგ სკოლისათვის გადაუცია და დირექტორობაც თვითონვე უთავებია.

ამ სკოლაში ლადოს უმცროსი ძმა — გოგიტა და მე, ერთად ვსწავლობდით. ერთ კლასში, ერთ მერხზე ვისხედით.

გოგიტა ალიკვალი ლადო იყო სახიერადაც; გუნებიერობითაც, სიარულის მანერითაც.

ბედმა და იღბალმა კარგა ხანი გვამყოფა ასე, ერთმანეთის სიახლოვეს.

ოჯახში ახლაც ვინახავ სამახსოვრო სურათს, მეოთხეკლასელმა ბიჭუნებმა რომ გადავიღეთ ფოტოგრაფთან, რომელსაც მცირე, კუსტარული სახელოსნო ჰქონდა სწორედ იქ, სადაც ამჟამად სასტუმრო „ქუთაისია“.

მთავარი მაინც სხვა რამეა: ყაუხჩიშვილის სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდა პედაგოგი ლიდა ცქიტეშვილი, ლადოს მშობელი დედა.

ბავშვი ხომ, საერთოდ, ბარომეტრივითა ყველაფრის მიმართ, მით უმეტეს, როცა საქმე მასწავლებელს ეხება.

რაც მართალია, მართალია, წრფელი სიყვარულით გვიყვარდა ლიდა მასწავლებელი — ჩვენი კეთილი, სათნო, მზრუნველი აღმზრდელი. ვაგლახად წარბს არ განხნიდა, არც თავის წილ სიტყბოს დააკლებდა ვინმეს.

ღილით გოგიტა დედას მოჰყავდა სკოლაში. კლასამდე შემოაცილებდა და მერე სამასწავლებლოში ავიდოდა. ბოლო ზარის ჩამორეკვა და ლიდა მასწავლებლის გამოჩენაც ერთი იყო.

შვილს ჩასაცემლს ჩააცემედა. მერხიდან წიგნებს ამოკრეფდა. ხელჩაკიდებული გაუყვებოდა დედა-შვილი გზას რიონგალმა, მესხეთის ქუჩისაკენ.

ასე მეორდებოდა ყოველდღე. და აი, შემოდგომის ერთ დილას სკოლაში აღარ მოვიდა ლიდა მასწავლებელი...

სამაგიეროდ შვილებს მოსდიოდათ დედის წერილები — იმედიანი, უსაყვედურო, რომელთაც ოჯახში მშობლიური სიტბო შემოჰქონდა.

ლადო კი, სულ რაღაც ოციოდე წლის ლადო, გულგასერილი წერდა:

პაუ, რამდენი ცრემლები ვღვარე, როცა გავყვეი წუხილის დემონს. ნეტავ სადა ხარ, ან რომელ მხარეს, სულზე უტკბესო დედლო ჩემო? ავიღებ ყვითელ წერილის ფურცლებს, ვინახავ გულთან, მარცხენა მხარეს... შემაყრიალებს ტანში და უცებ ვგრძნობ შენი ხელის სიტბოს და ალერსს.

დადიო

ჩახუჩი

პოეზი

ქალაქში

ვასილ გვახაძე

მწერალთა კავშირი ახალი თეატრის გვერდით, ყოფილი „ლარიზკომის“ შენობაში გადავიდა. საკუთარი არ ჰქონდათ არც ურნალი, არც გაზეთი. დროდადრო მხოლოდ საჭალაქო გაზეთი „სტალინელი“ თუ დაბეჭდვდა ხოლმე ქუთაისში მომუშავე მწერლების ნაწარმოებებს.

იმ დღეს სწორედ ბეჭდვანე ჩამოვარდა სიტყვა.

თავი მოეყარათ მწერლებს — სახელიანებსაც, ისეთებსაც, მაინცდამაინც გულზე რომ არ ეხატებოდა ხალხს.

ყველამ თავისი თქვა. გაზეთს უმრავლესობა ემადლიერებოდა.

ერთმა კი ისე, ანას რომ მისგან არავინ მოელოდა, ლადოს მისამართით თქვა: რედაქციამ ძალიან ფართოდ გაულო კარი — იქამდე მიიყვანეს, ხალხის საფიცარ პოეტებს ლამისაა ბეჭებზე ხელი მოუთათუნოსო. და თავისი სიტყვის გასამაგრებლად დაასახელა ლადოს ლექსი „პუშკინი ჩემთან“, რომელიც იმ დღეს „სტალინელს“ დაებეჭდა.

ლოდომ გახედა მას და მხრები აიჩეჩა. თქმით არაფერი უთქვამს, სახეზე კი ჩვეულმა ღიმილმა გადაუარა.

ასე გაღიმიდა მართო ლადოს შეეძლო. მოხდა ისე, რომ ერთხანს ადგილობრივ გაზეთში ბეჭდვაც სანატრელი გაუხდა ლადოს. როგორ „მოხერხდა“ ეს?! ჩვენ, ყველამ, დიდებმაც და პატარებმაც კარგად ვიცოდით. ვითომ, ლადომ არ იცოდა? იცოდა!.. მაგრამ ყოველის მომთმენი ღიმილით უსწორდებოდა ამ ამბავსაც. ის ღიმილი იმ კაცის ღიმილს ჰგავდა, საშინელ უმწეობაში რომ ჩავარდნილა და მაინც მხნელ არი...

ბუნებით ლალს და უხინჯოს, მხოლოდ

ლ ადიოდა ლადო ქალაქის ქუჩებში.

განსაკუთრებით ტკბილდებოდა გარეთ ხეტიალი მაშინ, როცა რიონის სანაპირო მწვანედ შეხასხასდებოდა და არჩიელის გორანზე თეთრად იბნებოდნენ ტყემლის ხეები.

იყო მის სიარულში რაღაც ისეთი, ძალუნებურად ყურადღებას რომ მიგაქცევინებდა კაცს. ამნაირი ნაბიჯებით მოსიარულე ადამიანი ამაყია, მიუკარებელია, ზემოდან დამჩერებელიცაა თითქოს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჭიანჭველასაც ვერ დაადგამს ფეხს.

ამბობენ, ტანადი და წარმოსადგვი ადამიანები, უმთავრესად, გულმოწყალები და შემბრალენი არიანო.

სინამდვილეა ეს თუ არა, ამაზე დავს მე არ ვაპირებ. სახიერი, ბეჭებში ოდნავ წახრილი, მაღალ-მაღალი, ყელ-კისერშემოღერებული ლადო ასათიანი რომ მართლაც მოწყალები და შემბრალე გულისა განზლდათ, ეს კი ნამდვილად ვიცი.

მიდის ფერწითლად სახეაფორაჯებულნი ჭაბუკი ქუჩაში. აცვია ფართოჯიბებიანი უბრალო, ლურჯი სატინის ხალათი, სრული და ჩაშვებული, ალბათ, ოჯახში, დედის ხელით შეკერილი.

უხერხულად მიიქნევს ხელებს. ბარაქიანი ნაბიჯებით გადმოიარს თეთრ ხილს. იქვე, ხელმარცხნივ კაფეა — მისი საყვარელი საოცნებო ადგილი.

აგერ რიონისპირი თეთრი, გასლიპული რიყის ქვებით, მშვენიერი ბაღით. სოლომონისეული ჭადარი, ბებერი და დაფუტურებული, ცოდვილ ტოტებს აქეთ-იქით აქანავებს. მწვანე, ფაფრიანი მოლი მოსდებია ხეივნებს და გარშემო დგას ნედლი, დასრესილი ბალახის ნაცნობი სურნელი.

შეხედავ და გამახსოვრდება საყელო-აწეული, ფაქრიანი ახალგაზრდა კაცი. სიცივე და სიბოო ერთი ღირით ამოდის მისი სხეულიდან. გული კი არ აუყრია ცხოვერებაზე, რაღაცით გაღობიანებულია. გაბოროტებული კი არაა, გაწამებულია და გატანჯული.

აღიზიანებს ის, ნამცეცა გულის მეპატრონე კაცუნა დიდბუნებოვანი ადამიანის როლს რომ თამაშობს. ისიც, უღირსი რომ ღირსებაზე ჭადაგებს და ქვეყანას ჰკუას ასწავლის.

პირადმა უბედურებამ, დედის სახელ-

საქართველო
ვასილ გვახაძის
პოეზიები

ამნიარად შეეძლო გამოეხატა თავისი შეხედულება ბოროტი, გონებაშეზღუდული ადამიანების მიმართ.

ლიტერატურული ახალგაზრდობა თავს იყრის ძველი თეატრის ახლოს, მასწავლებელთა სახლის წინ, ვეება ჭადრებით ჩამოჩრდილულ სკვერში. აქვე იდგა მაღალი ჩინური ვაზა, რომლიდანაც გემრიელად ამოიხუხუნებდა ცივი, გაკრიალებული წყალი.

მყუდრო, პოეტური გარემო ხელს უწყობდა იმას, რომ ახალგაზრდებს თავისუფლად ეკამათათ, ემსჯელათ და ედავათ კიდევ ლიტერატურის საკითხებზე.

კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. ათასნიარად სინჯავდნენ ყოველ ლექსს.

თავშეყრა იწყებოდა საღამო ხანს და ხშირად შუალამედვე გრძელდებოდა. მით უმეტეს მაშინ, როცა ზაფხულის პაპანაქებაში ჩაძინებულ ქალაქს სავე მთვარე დასჩერებოდა თავზე.

მანსოვს, ერთი ასეთი თავშეყრის დროს ლადომ წაიკითხა „ნეტავ, დედავ, რაო?“

ხალხურ პოეზიას დიდ პატივს ცემდა. სულ ზეპირად იცოდა მისი საუკეთესო ნიმუშები.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ის ლექსი სათავეს სწორედ ხალხური პოეზიიდან იღებს.

ლექსი ძალიან მოეწონათ. რომელიღაცამ თქვა, მგონი გიორგი ნაფეტვარიძემ: ლადოს, გვარად ასათიანი კი არა, ასსანთიანი უფრო შეეფერებაო.

კი, ნამდვილად ასსანთიანია მისი პოეზია. ასი სანთლის შუქზე, მყუდროებაში და სიჩუმეშია წასაკითხი ლადოს ლექსები. მისი სულიც ხომ ამ სანთლების შუქში ჩაღებდა და ჩაილია. ასი სანთლით გაჩახახახებული სევდა თვალწინ ედგა ალბათ, მაშინ, როცა დათოვლილი ოდებიდან საახალწლო ჩიჩილაკებმა გამოანათეს. თეთრად და საამოდ შეშრილდა იქნებ ფოჩიანი კანფეტებით შორთული, „შორი გზიდან მოსული, მამა-პაპის ჯილაგი — უცხოვრებელი განათებული პატარა ჩიჩილაკი“.

ყელმძალი, თავაწეული ცისფერი სარწყულიც გამოანათებოდა საახალწლო სეფიდან. გარშემო უმჯველად ლაქვარდისფერი სინათლე მიმოფენებოდა, რომ გულს თავისთავად ამოეძახა:

და ახლა, როცა უმწეო
ვდგავარ უფსკრულის ნაპირთან,
როცა ცხოვრებამ გამოელა
და სიმკლის სენმა დამფლითა,
კვლავ შენ განტრულობ, რომ მკერდზე
სიცოცხლის წყარო მასხურო,
ბავშვობასავით ცისფერო,
მამაპაპრო სარწყულიო!..

მერე ბოლო წამონთება! ისევ სიცხიანი თვალებით საწოლზე წამოწევა! ისევ ცინცხალი, ნაპერწკლიანი სურვილი, როგორც შეკვივლება:

ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ, ნურვინ ნუ მოგხსენოს.

მაგრამ ოცდაექვსი წლის ლადო ასათიანი უკვე სამოცდაათი წლისაა. არ დაუძლიერებულა. მუხლები არ აცახცახებია ბებრულად. ერთი ღერი თეთრიც კი არ გარეგია თმაში. ისევ შავთმიანია და საოცრად კეთილი...

და, რაც მთავარია, ისევ ცოცხლობს მისი პოეზია და ისევ შემოგვძახის ჭაბუკად დარჩენილი პოეტი ზარიანი ხმით: დაუკარო, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, გასარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს. გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!



მ

ადრიდის „რეალი“ მთელი შემადგენლობით იცავდა საკუთარ კარს. ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი სტუმრად თამაშობდა და სულ უფრო უჭირდა გულშემატკივართა ტემპერამენტიანი მხარდაჭერით გამხნეებული მეტოქის თავბრუდამხვევ შეტევათა მოგერიება. მცველთა დასახმარებლად მადრიდელთა თავდამსხმელებიც ჩამოსულიყვნენ საკუთარ საჯარიმო მოედანთან. ისეთი აგრესიული ფორვარდები, როგორცაა ბუტრაგენიო, აგრეთვე მისი უცხოელი თანაგუნდელები, მექსიკელი სანჩესი და მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინელი ვალდანო თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად — მეტოქის კარის დასალაშქრავად ვეღარ იცლიდნენ. აი, მასპინძელთა მორიგი შეტევა, „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა კამაჩომ ვერ შეძლო მასპინძელთა გუნდის კაპიტნის შეჩერება. ამას მოჰყვა სწრაფად, ლამაზად გათამაშებული კომბინაცია: ჩხაიძე-კოპალეიშვილი-ფრიდონაშვილი და მადრიდის „რეალის“ მეკარე ბუიო უძღური აღმოჩნდა ლანჩხუთის „გურიის“ საუკეთესო ბომბარდირის ზუსტი დარტყმის წინაშე. არის! ზეიმობდა

ლანჩხუთი, ზეიმობდა მთელი საქართველო...

არა, ასეთი საფეხბურთო მატჩი არ ჩატარებულა, უფრო ზუსტად — ჯერ არ ჩატარებულა. არც ის იფიქროთ, რომ ამ სტრიქონების ავტორი თანამედროვე ლიტერატურაში ესოდენ პოპულარული ჟანრის, ფანტასტიკის მგზნებარე მოტრფილვა და „მის ბრწყინვალეობა“ მოდის უხდის ხარკს. არა. ჩათვალეთ, რომ ეს საყვარელი გუნდის დიდი გამარჯვებით ფრთაშესსმული გულშემატკივრის ოცნება, თამაში-ოცნებაა ქალაქზე გადმოტანილი, ოცნება კი ჯერ არავისთვის დაუშლიათ.

ისე, ესეც ვთქვათ, განა 1979 წელს, როცა ლანჩხუთის „გურიამ“ პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, წარმოდგენილი რომ ეს გუნდი ოდესმე უმაღლეს ლიგაში გადავიდოდა? ან, ასე შორს წასვლაც არ არის საჭირო, მიმდინარე წლის დასაწყისში რომ ეთქვა ვინმეს „გურია“ უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებსო, თუ დაიჭერებით? არადა, გაიხსენეთ, ჯერ კიდევ როდის დაინახა უმაღლესი ლიგა მაღალი ხის კენწეროდან ერთმა ლანჩხუთელმა ონავარმა. ყველას გაგახსენდათ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტუ-

უესაკლო პარიატო

უ

იური რინხბარი

აბათ საღამოს კონკალიანკინ ების ოჯახი მთელი შემადგენლობით შეიკრიბა: დედა ელენე, მამა სერგო და მათი ვაჟი — მესუთე კურსის სტუდენტი საშა. საკითხი, რომელიც ოჯახის წევრებს უნდა გადაეწყვიტათ, მეტად მნიშვნელოვანი იყო და გადაუდებელი. მაგიდას მიუხსდნენ და თვალწინ გადაშლილ ბარათებში ღრმად ჩაიძირნენ. — აი კარგი ვარიანტი, — პირველმა დუმილი საშამ დაარღვია —

...დასრულდა...

რი ფილმი „გურია! გურია!..“? იგი შეიქმნა ლანჩხუთელთა პირველ ლიგაში გადასვლის შემდეგ. ახლა, როცა გუნდმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, ალბათ შეიძლება გადაიღონ ახალი ფილმი: „გურია! გურია! გურია!..“

თუმცა ადამიანი მარტო იმედითა და ოცნებით როდი ცხოვრობს, მას გარდასულ დღეთა ტკბილი მოგონებებიც ასევე ასულდგმულებს. მაგალითად, ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე გამართული ლანჩხუთის „გურიისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ შეხვედრის 76-ე წუთი რად ღირს!

იმ დღეს ბათუმში წვიმდა, კოკისპირულად წვიმდა. კაცი იფიქრებდა, ბუნებამ „გურიისთვის“ მაქსიმალურად მკაცრი გამოცდის მოწყობა განიზრახაო — „ბათუმს ქათქათას“ ნამდვილი თავსება დაატეხა თავს. სამი დღე წვიმდა გადაუღებლად. წვიმდა მატჩის დაწყებამდე, წვიმდა მატჩის დროსაც და მხოლოდ შეხვედრის მიწურულს, როცა ლანჩხუთელთა გამარჯვება ექვს აღარ იწვევდა, გამოიღარა. თითქოს „გურიის“ ფეხბურთელთა შემართებამ გულშემოტივების თავდადება, მათ მიერ ერთობლივად დანთებულმა ცეცხლ-



ბათუმში გულშემატკმრები.



ბათანილი ბურთის სიხარული.

ჯამბალ კასრაძის ფოტო.

მა, საერთო ზეიმმა და უდიდესმა სიხარულმა უღმობელი სტიქიაც კი მოაჯადოვა.

... მატჩის დაწყებამდე სამი-ოთხი საათით ადრე, ლანჩხუთში რომ გავიარეთ, ერთი საინტერესო დეტალი მოგვხვდა თვალში: ქუჩებში ძირითადად ქალები გვხვდებოდნენ, აქა-იქ მოხუცებს ან ბავშვებს თუ დაინახავდით კანტი-კუნტად. მატჩის შემდეგ თბილისში რომ ებრუნდებოდით ლანჩხუთში ღამის ორ საათზე გამოვიარეთ, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ქალაქის ჭერ კიდეც აჩქარებული მაჩის-ცემა. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა? იმ დროს მხოლოდ ყველაზე პატარა ლანჩხუთელებს ეძინათ. ისინი ბოლომდე ვერ უწევდნენ ანგარიშს მომხდარის მნიშვნელობას, მაგრამ უფროსების არნახული სიხარულის მიხედვით ხვდებოდნენ, რომ რაღაც ძალიან კარგი ამბავი დატრიალდა. უჩვეულო ენებათაღლევიტ ოდნავ გადაღლილები ახლა ტკბილად თელმდნენ და ლამაზ სიზმრებს ხედავდნენ. მე ვიცი, რაც ესისზმრებოდათ...

ზურაბ ფოცხვირია

„სამოთახიანი ბინა, ოთახები იზოლირებული, მეცხრე სართული ცხრა-სართულიან სახლში“, — შთამბეჭქდავად ჩაიკითხა და მწერა მშობლებზე გადაიტანა.

— მეცხრე?! ბოლო?! — აღშფოთდა მამა, — მოდი, ახლავე შევთანხმდეთ ერთ რამეში — პირველ და ბოლო სართულებს ნუ განვიხილავთ.

საშამ გვერდზე გადადო რამდენიმე ბარათი და კითხვა განაგრძო.

— „შენსანიშნავი ოროთახიანი ბინა. 80 კვადრატული მეტრი. პარკეტის იატაკი. მესამე სართული ხუთ-სართულიან სახლში...“

— ხუთსართულიანი? არავითარ შემთხვევაში. როგორც ამბობენ, მაგათ დრო უკვე გაუვიდათ, მალე ხილებენ და ღმერთმა იცის, სად გადაჯერდებიან...

— ემ, გახსოვს, სერგო, ჩვენ როგორ დავიწყეთ? — ამოიხსრა დედამ. — საერთო ბინაში, სათქვების გარეშე. არც გათბობა გვქონდა და არც ლიფტი... და მაინც ბედნიერები ვიყავით.

— აბა, ეღონე, რას ამბობ, რატომ არ უფიქრდები. მაშინ რა დრო იყო. — გაეცინა მამამ. — შენ იქნებ ისიც მოიგონო, როგორ ცხოვრობდნენ შენი დიდი ბებია და პაპა ბატონყმობის დროს.

— კარგი, კარგი, ნუ დაობთ, — შეაჩერა ისინი საშამი. — აქ ბევრი ვარიანტია, რომელიმეს შევარჩევთ. აი ესეც — ოროთახიანი ბინა ტუპის მახლობლად.

— შორს არის, შვილო, — მოუჭრა დედამ.

— მერე რა, სამაგიეროდ სანიტარიული კვანძი ცალ-ცალკეა.

— სანკვანძში არაა ბედნიერება, — გაიხუმრა მამამ და თვითონვე გაეცინა, — ბინა, ჩემო საშენკა, ესაა საფუძველთა საფუძველი. ასე რომ, აქ ცხრიანში უნდა მოარტყა. ჩვენი მონაცემებით საუკეთესო ვარიანტი უნდა სავირჩიოთ.

საშამ კიდეც რამდენიმე ბარათი გადაარჩია და ბოლოს ერთზე შეჩერდა:

— აი ეს, მე მგონი, სწორედ ისაა, რაც გვჭირდება. აბა, კარგად მომიხსინეთ: „სამოთახიანი ბინა აგურის სახლში, გაუმჯობესებული პროექტით. მეხუთე სართული თორმეტსართულიან სახლში. ლიფტი. ლოჯია“.

— სანაკვე მოწყობილობა? — იკითხა მამამ.

— რა თქმა უნდა, არის. საშვარეულო ცხრა მეტრი.

— როგორც იქნა... აბა. მაჩვენე, დავხედო. მამამ ბარათი გადმოაბარუნა და სახე ოდნავ შეექმუნა. სურათიდან არცთუ ისე ლამაზი ქალიშვილის პორტრეტი შემოსცქეროდა.

— ის თანახმა?

— თანახმაა, თანახმა, — დაუდასტურა საშამი.

— შენ ის გიყვარს? — ჰკითხა დედამ.

— შენ რა, ლენა, — აღშფოთდა სერგო. — როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ასეთი ბინის პატრონი. მიდი, საშენკა, მიდი, ნუ გადადებ, ახლავე დაურეკე!


— ძლივს არ ავარჩიეთ? — შევებით ამოიხუნტა საშამ და დასარეკად წამოდგა.

თარგმნა ნუნუ კუპრიძე.

საქ

კოპი

კოპი



მარტს, იაპონიაში — სექტემბრის შუა რიცხვებში.

ძველ რომში ყოველი წელი იყო თვისაგან შედგებოდა. მოგვიანებით კალენდარს დაუმატეს კიდეც ორი თვე — მანამდე და თებერვალი. ვინაიდან ღიადგვაროვანი მოხელეები თავიანთ თანამდებობებს იანვრის თვეში იკავებდნენ, რომაელებმა ახალი წლის აღნიშვნა იანვრიდან დაიწყეს. 1699 წლის დეკემბერში პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება, რომ ახალი წელი 1 იანვარს ეზეიმათ (მანამდე რუსეთში ახალი წლის დადგომას სექტემბრის თვეში აღნიშნავდნენ).

1700 წლის 1 იანვარს რუსეთში დიდი ზეიმით აღინიშნა ახალი წლის დადგომა.

ძნელია თქმა, როდის დგება ახალი წელი ინდოეთში. აქ რამდენიმე კალენდარია გავრცელებული და სხვადასხვა ტომი სხვადასხვა დროს აღნიშნავს ახალი წლის დადგომას.

საინტერესოა, სად როგორ ხვდებიან ახალ წელს?

როცა საათი იტალიელებს ახალი წლის დადგომას ამცნობს, სოფლებსა და ქალაქებში მაშინვე უჩვეულო ხმაური ატყდება. ეს ტრადიცია იტალიელებს ძველთაგანვე მოსდგამთ: დიასახლისები ეზოებსა და ქუჩებში სიმღერით ყრიან მოძველებულ ავეჯს, გახვრეტილ ქვაბებს, ტაფებს, უვარგის საოჯახო ნივთებს.

მსოფლიოში ამჟამად რამდენიმე ათეული კალენდარია და თითოეული მათგანის მიხედვით ახალი წელი სხვადასხვა დროს დგება.

ძველ ეგვიპტეში ახალი წლის მოსვლას ნილოსის აღიდებას უკავშირებდნენ; როცა მდინარე შეიმღვრეოდა და აღიდებას დაიწყებდა, ეგვიპტელთა რწმენით, ახალი წელი მაშინ დგებოდა.

საგანგებოდ გამოწყობილი ხალხი ნილოსის სანაპიროზე გამოეფინებოდა. ჩაღებოდა ცეკვა-თამაში. ეგვიპტელები ერთმანეთს ახალი წლის მობრძანებას ულოცავდნენ.

მუსულმანური კალენდრის ჰიჯრა-მამასის მიხედვით, ახალი წელი მარტის თვეში დგება. ჩინეთში ახალი წელი 17 თებერვალს აღინიშნებოდა, ბიზანტიაში — 1

კადრი ფილმიდან „არსენა ჯორჯიანის“ 1921 წელი, სანდრო ახმეტელი ეპიზოდურ როლში.



ერთ ფუძემდებლად, რომელმაც შექმნა არა მარტო რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული, არამედ რევოლუციური სინამდვილის ამსახველი მაღალმხატვრული სპექტაკლები. მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი თეატრალური ცხოვრების გარკვეული ეტაპი. წარმოვიდგინოთ იგი სანდრო ახმეტელის „ანზორის“, „რღვევის“, „გმირთა ქალაქის“, „ლაპარას“, „თეთრულდის“, „ყაჩაღების“ გარეშე.


ამისდა მიუხედავად, სანდრო ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ რუქაზე მაინც მრავალი „თეთრი ლაქაა“. მათი შეფესება კი აუცილებელია. ძიება გრძელ-

დება. დიდი ქართველი რეჟისორის საუკუნოვანი სიცოცხლის აღსანიშნავ ზეიმთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ახალ ფოტოდოკუმენტს, რომელიც პირველად ქვეყნდება. ფოტოები მოგვაწოდა კოტე მირიანაშვილმა.

სახლი თელავის მაზრის სოფელ კოლოთაში, სადაც 1891 წლიდან ცხოვრობდა ახმეტელების ოჯახი; პაატაშვილების სახლი თელავში, რომლის აივანზეც დაიდგა გიმნაზიელი სანდრო ახმეტელის სპექტაკლი; ალ. მჭედლიშვილის მიერ აქამდე ცნობილი იყო, თუ სად ცხოვრობდა სანდრო ახმეტელი პეტერბურგში. ახლა ჩვენ

სანდრო ახმეტელის 100 წლისთავისათვის

სანდრო ახმეტელის შემოქმედება უკვე საფუძვლიანად არის თეატრმცოდნეთა მიერ შესწავლილი. იგი სამართლიანადაა აღიარებული ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-



სახლი სოფელ კოლოთაში, აქ ცხოვრობდა ახმეტელის ოჯახი.

იტალიელთა რწმენით, ახალი წლის ღამით ძველი ნივთების მოშორება ოჯახს სიმდიდრეს, სიხარულსა და ჯანმრთელობას მოუტანს.

ჩინელები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ცოცხალი ყვავილით შეეგებონ ახალ წელს. ისინი თავიანთ ბინას და საახალწლოდ გამოიღონ სუფრას უამრავი ყვავილით რთავენ.

რაც მეტია ცოცხალი ყვავილი, მით უფრო მეტი სიუხვე და სიკეთე, ჯანმრთელობა და სიხარული დაისადგურებს ოჯახში — ასეთია ჩინელთა ძველთაძველი რწმენა.

ინგლისში საახალწლო ზეიმი პირველ და ორ იანვარს გრძელდება.

ყველა სახლის კარი ღიაა. უცნობ ადამიანს უფლება აქვს, ვისაც უნდა, იმას ეწვიოს. სტუმარს ყველგან დიდი პატივისცემით ხვდებიან, გულუხვად უმასპინძლებიან და საახალწლო საჩუქრებს სთავაზობენ.

ბირმაში ახალი წელი ზაფხულის ცხელ დღეებში დგება.

ხალხი ქუჩებშია გამოფენილი. საითაც გაიხედავთ, ყველგან წუწობაა გაჩაღებული. თითოეული ცდილობს, ნაკლებად დასველდეს და სხვას რაც შეიძლება, მეტი წყალი შეასხას.

გამონაკლისს მხოლოდ ბერები და ფოსტალიონები შეადგენენ. ისინი არც სხვას

ასხამენ წყალს და მათი გაწუწვაც აკრძალულია.

იაპონელები ახალი წლის დადგომისთანავე საწოლში წვებიან და იძინებენ. ყველა ცდილობს, ახალი წლის პირველ განთიადს და მზის ამოსვლას გამოიძინებულნი შეეგებოს.

ირიყრელებს თუ არა, ხალხი სიმღერით გამოდის ქუჩაში. იაპონელებს ხელში უჭირავთ ქლიავისა და ფიჭვის ტოტებით შემკული ბამბუკის ჯოხი.

მათი რწმენით ფიჭვი ხანგრძლივი სიცოცხლეა, ქლიავი — ბედნიერება, ბამბუკის ჯოხი — ოჯახის სიმტკიცე.

ახალი წლის წინ — 12 საათს რომ რამდენიმე წუთი აკლია, ბულგარეთის სოფლებსა და ქალაქებში სინათლეს აქრობენ.

ეს წუთები „საახალწლო კოცნას“ ეთმობა.

ამ მცირე დროში ნებადართულია, ვისაც ვის სურს, იმას აკოცოს. ახალი წლის დადგომისთანავე, სინათლეს ისევ ანთებენ და იწყება ღონის.

სუფრა ტკბილეულითა და ნამცხვრებით არის დაზვიანული. ყველა მღერის და ცეკვავს.

ფრანგებს ახალი წლის დილით ქუჩებში უყვართ გამოსვლა.

ახალგაზრდები მღერიან. გაისმის მხიარული შეძახილები. ყველა ერთმანეთს

ტკბილეულით ულოცავს ახალი წლის დადგომას.

ირანში ახალი წლის დადგომამდე ქუჩებში ჭიკოკოკონას ანთებენ. ძველი რწმენით, ცეცხლს, რომელიც თურმე ყველგან მყოფობას წვავს, თან მიაქვს კრველგვარი ბოროტება. ჭიკოკონის მოწითალო ალი კი სიკეთე და ჯანმრთელობაა.

ირანელთა საახალწლო სუფრაზე, როგორც წესი, შვიდი თავი საქმელი უნდა იყოს.

რუმინეთში ახალი წლის ღამეს ქუჩები ხალხით ივსება. აწკარუნებენ ზარებს. გაისმის სატაკუნებლების ხმაური. ახალგაზრდები მღერიან და ცეკვავენ.


რუმინელებს წესად აქვთ, ახალ წელს დიდი ხნის უნახავი ახლობლები მოინახულონ და ტკბილეული მიართვან.

ქართველები ახალ წელს ძველად სექტემბერში აღნიშნავდნენ. ივლებოდა საკლავი, ცხვებოდა ნაზუქები, ნამცხვრეული. დასავლეთ საქართველოში საახალწლოდ გაშლილ სუფრას ჩიჩილაკი ამშვენებდა.

ღონის ოჯახიდან ოჯახში ინაცვლებდა.

განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა „მეკვლე“, რომელიც, მარჯვენა ფეხით, პირველი შეაბიჯებდა ოჯახში და ყანწით ხელში დილოცებოდა.

პაატაზვილავის სახლი თელავში, ვიზნაზიელმა სანდრო ახმეტელმა ამ დაღვა სპეციალურ.



ხელთა გვაქვს სანდრო ახმეტელის წერილის ფოტოკოპირი, სადაც იგი თავის ნათესავთა მარ ახმეტელს მისამართს ატყობინებს და იქვე მოუთითებს, რომ მათი გვარი ახმეტელია და არა ახმეტელაშვილი. სახლი, რომელშიც სანდრო ახმეტელმა სტუდენტობის წლები გაატარა, დღესაც ამავე ქუჩაზე დგას; ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“ ეკრანზე 1921 წელს გამოვიდა. ფოტო, სადაც სანდრო ახმეტელი ეპიზოდურ როლშია აღბეჭდილი, მოგვაწოდა კინომცოდნე გიორგი დოლიძემ.

სანდრო ახმეტელის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების მომზადებისათვის რედაქცია მადლობას უხდის თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძეს.

სახლი ლენინგრაბში, სადაც სტუდენტობის პერიოდში ცხოვრობდა სანდრო ახმეტელი.



კოტე ვირიანაშვილის ფოტო.



ნებისყოფა

ყ

ოველ ახალ წელს საკუთარი თავის წინაშე ფიცს ვდებ, რომ ახალი ცხოვრება დავიწყო.

გადაწყდა, — ვეუბნები

ნებისყოფა თვეს, — დილას, ადგომისთანავე ნახევარ საათს ივარჯიშებ. ხომ დარწმუნდი პლაჟზე, როგორი ღიმილი გაგზრდია? ცხადია, ჯერ არც ისე სერიოზულად არის საქმე, მაგრამ საკმარისია ცოტა მოეშვა და... დროზე უნდა მიიღო ზომები. საჭიროა სპეციალური ვარჯიშების ჩატარება და, რაც მთავარია, არავითარი საბაზით არც ერთი დილა არ უნდა გამოტოვო! და რამდენიმე თვეში ღიმილი გაქრება. შენ ხომ იცი: ტანკენარობა, უპირველეს ყოვლისა, ნებისყოფის საკითხია. საკმარისია, ნახევარი საათით ადრე ადგე. თუშეცა ნახევარი საათი, შეიძლება ბევრიც კია... და საწყისისათვის თხუთმეტი წუთიც საკმარისია, მერე კი ვნახოთ.

თუ იმ მეოთხედი საათით ადრე ჩაწვიბი ლოგინში, ადარც ძილი დაგაკლდება და არც სამუშაოზე დაგავიანდება. აუცილებელი არ არის ტელევიზორთან დროის მოკვლა, მთელი საღამო სავარძელში ტრიალი და იმითი დაინტერესება, — თუ როგორ დამთავრდება ეს აბდა-უბდა.

ღიას, უნებისყოფობა გაიძულდები ძვირფასი წუთები დაკარგო! ხოლო მთელი წლის მანძილზე ეს წუთები აუარება დროს შეადგენს, რომელიც წიგნის კითხვაზე რომ გამოგაქეჩენინა, გაცილებით მეტ სარგებლობას მოგიტანდა. ცხადია, საკმაოდ არ ვკითხულობ. ღვთის გულისათვის, უოველდღიურად ნახევარსაათთან კითხვას მიეჩვიე! — ვემუდარები საკუთარ თავს. თუ უოველ საღამოს თუნდაც ნახევარ საათს კითხვას დაფუთობ, წარმოიდგინეთ რამდენი წიგნის წაკითხვას შეეძლებ მთელ წელიწადს! და ეს კი რამდენად სასარგებლო იქნება ინტელექტისათვის! თუშეცა ზოგჯერ ისტამბულში შეტისმეტად ვიღლები და თვალბეი მებლიტება, მაგრამ ეს მაინც ნებისყოფის საკითხია!

თანაც აუცილებელია თამბაქოს მიტოვება. ვფიცავ, ახალი წლიდან დავიწყებ თამბაქოს რაციონის შემცირებას უოველდღიურად თითო სიგარეტით. ასე რომ, ერთ თვეში უკანასკნელ სიგარეტს მოვწვევ. სისულე-

ლია, ჯანმრთელობა გაინადგურო და ამდენი ფული კვამლს გაატანო. ამ ამოღ და საზიანოდ გაფლანგული თანხით, ვინ მოთულის, რამდენი წიგნის შეძენა შეეძლო!

საერთოდ, საჭიროა მოშვირნეობა. არავითარი ზედმეტი ნივთები! და აუცილებლად უნდა შეთავაზო ცოლს, რომ სასმელ-საჭმელზე ნაკლები დახარჯოს. ჩვენ მეტისმეტად ბევრს ვჭამთ! მეტისმეტად ბევრს ვსვამთ! ნაკლები ხარჯი საჭმელზე, მეტი — კულტურაზე! არ შინდა ჭადარა იდიოტად ვიქცე. პატიოსან სიტყვას ვიძღვევი, ამიერიდან ცოლთან ერთად, სულ ცოტა, კვირაში ორჯერ კინოში და ორ კვირაში ერთხელ თეატრში ვივლი. ხოლო თვეში ერთხელ მე და ჩემი ცოლი აუცილებლად გამოფენებსა და კონცერტებს ვეწვევით. ბოლოს და ბოლოს, კულტურა ნებისყოფის საკითხია!


საჭიროა უოველ საქმეში ენერჯის, გამბედაობის, სიზუსტისა და სიმტკიცის გამოჩენა. იყავი უფროსებთან უფრო თვინიერი და ცოლთან ენაწყლიანი. დაეხმარე შეუღლეს საოჯახო საქმიანობაში, უოველ შაბათს უპიკველად უვავილები მიუძღვენი. პირობას ვდებ, ვფიცავ! ბავშვებთან მეტი სიმკაცრე გამოიჩინე. როცა ისინი იპრანჭებიან, თავს ისე ნუ დაიჭერ, თითქოს ვერ ამჩნევდე. მათ აზრსა და შეხედულებას სასაცილოდ ნუ აიგდებ, რა ბრიყვულადაც კი არ უნდა მოგეჩვენოს. მოუსმინე მოთმინებითა და გულისყურით. ეს მხოლოდ ნებისყოფის საკითხია!

— ვიცის, რაზეც ფიქრობ, ჩემო ძვირფასო, — შემომღიმა ცოლმა. — ისევ ფიცს აძლევ საკუთარ თავს... — როგორ მიხვდი?

— უოველ ახალ წელს ხანგრძლივ ფიქრს იძლევი და, რაც უვალაზე საოცარია, ჭეშმარიტად გწამს, რომ ჩანაფიქრს შეასრულებ. მეფრამეტე წელიწადია ახალ წელს ერთად ვხვდებით და თვარმეტჯერვე უვალაფერი ძველებურად რჩება. ოღონდ ის სიჭიუტე, რომლითაც მარად განუხორციელებელ ფიცს დებ, მართლაც დიდებულია.

— ეს ნებისყოფის საკითხია! — წამოვიძახე თავმომწონედ.

ფრანგულიდან თარგმნა
ზოთა ამირანაშვილმა.



ქროსკორდი

თარგმნა: 1. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 6. ფტების მსგავსი მარცვლოვანი მცენარე; 7. სახელმწიფოს დედაქალაქი; 8. მოკლელულიანი ქვემეხი; 9. სახალხო პოეტი, მომღერალი უაზახეთში და სხვ.; 10. სწრაფმავალი პატარა მწვერავი გემი; 11. ადმინისტრაციული ორგანო; 12. მიწის ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა; 13. სახელმწიფო; 14. ამა თუ იმ ადგილის მეტეოროლოგიური პირობათა ერთობლიობა; 15. სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 16. სიგრძის საზოში ერთეული; 17. ზღუდე, დაბრკოლება; 18. რაიონული ცენტრი საქართველოში; 19. ნელტემპიანი ციკვა; 20. ჩუქჩების საცხოვრებელი ქობი.

შპეშულად: 1. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 2. ზუსტი მიზაძვა; 3. მთავორიანი მხარე დასავლეთ ციმბირში; 4. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 5. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 6. ცხოველი, რომელიც წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც; 7. ყვავილი; 8. რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც მოთავსებულია სხვაგან და აქვს ერთგვარი დამოკიდებულება; 9. ქიმიური ნაერთი მთლიანად უანგეულების წყალთან; 10. მსუბუქი უანრის ე. წ. „მცირე ფორმის“ თეატრი; 11. პირი, რომელსაც აქვს უფლება, აირჩიოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; 12. სამხედრო მოსამსახურის აღჭურვილობა; 13. ტროპიკული ხეხილი; 14. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი, ევროპასა და აზიის ჩრდილო ნაწილში; 15. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 16. წარწერა კინოფილმის კადრზე.

შეადგინა ვაჰა ვახტანგაძემ.

„დროშა“ № 12-ში გამომცემებული ქროსკორდის პასუხები:

- თარგმნა: 1. ბელია; 2. კლაკა; 3. მაგია; 4. კრანოლოგია; 5. ალოე; 6. კოლეგია; 7. ლემა; 8. აშური; 9. გრიმი; 10. სიდრი; 11. ილია; 12. ინკასო; 13. აბატი; 14. იაიტი; 15. რიონი; 16. იაია; 17. იაია; 18. აკინაჯი; 19. ბივი; 20. ეკვივალენტი; 21. იარღი; 22. იფქლი; 23. ალაფი.
- შპეშულად: 1. ბირუა; 2. აკრი; 3. კონგო; 4. ანოდი; 5. მაია; 6. ამონა; 7. ოდერი; 8. კომუნიკაცია; 9. დენდროლოგია; 10. სიცილია; 11. ესკადრა; 12. აჩაჩა; 13. გრიფი; 14. იანძი; 15. თითილი; 16. იონჯა; 17. ილიმი; 18. კრივი; 19. კენი; 20. ალუვი; 21. იკვი; 22. ეტნა.

ბარეპანის პირველ გვერდზე: თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მსუბუქი პრეწველობის ნაწარმის მხატვრული დამუშავებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობით, მუშაობის დროს.

ბარეპანის მეოთხე გვერდზე: სტუდენტური მოდების დემონსტრირება.

გადაეცა წარმოებას 1. XII. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. I. 87. უე 14920. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფეტურის წესით. ფიციკური ფურცელი 8, პირობითი ნახეტი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-სავაშომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 2778. ფასი 85 კაბ.

860096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/გ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

დეს ძნელია წარმოიდგინო ისეთი ადამიანი, მოდის შესახებ არ ეფიქროს. ის არააცივილიზებული ხალხებიც კი მოდის შესახებ არავითარი წარმოდგენა რომ არა აქვთ, თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში მოდას მიმართავენ. XIX ს. გამოჩენილი მოგზაური ლივინგსტონი მოგვითხრობს: ერთ-ერთი აფრიკული ტომის მამაკაცები ხიშიშვლის დასაფარავად წინ და უკან წელზე ჩამოკიდებულ ნაჭრებს ატარებდნენ. ამ ტომის ქალები კი სრულიად დელიზობილა დადიოდნენ. ლივინგსტონს მეგზურობას უწყვედნენ მეზობელი ტომის მამაკაცები, რომლებიც მხოლოდ წინსაფრებით დადიოდნენ. როცა მასპინძელი ტომის ქალებმა მოსულებს შურგიდან შეხედეს დამცინავი ხარხარი ატეხეს.

რაზე მივანინებებს ეს ეპიზოდი? იმაზე, რომ ამ აფრიკული ტომის მცხოვრებთ ჩამოყალიბებული სტანდარტული შეხედულება ბქონდათ ჩაცმაზე და მასხადაზე... მოდაზე. ხოლო, მათი სოციალური გემოვნებისათვის შეუსაბამო კი — დაცივნის საგანი გახდა.

მოდის წარმოქმნასა და გავრცელებაში დიდ როლს თამაშობდა პრაქტიციზმი. დაბალი განვითარების დონის ხალხებისათვის დღესაც ასეთი პრაქტიციზმია გადამწყვეტი. ამჟონის ჭუნგლებში მცხოვრები ადამიანები ცხვირის ძვირებებსა და ყურის ბიბილოებს იხვრეტენ. ასეთი ექცევიან აფრიკელი მასალები, ცენტრალური ავსტრალიის ტომები, ახალი გვინეის სანაპიროს მცხოვრებნი. მათი აზრით ცხვირის ძვირები რგოლის გაყრა, ყურის ბიბილოზე მიმაგრებული ნიჟარები, ტუჩების ტატუირება და სხვადასხვაფერად შეღებვა ადამიანის სახიციოცხოლო ნახვრეტების საიმედო დაცვა მათე სულების შეღწევისაგან.

ასეთი „პრაქტიკული“ დანიშნულება დღეს აღარა აქვს სამკაულს, რომელსაც მოდის ცივილიზებული მიმდევრები ასეთი გაქანებით და წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით ხმარობენ, მაგრამ „პრაქტიციზმი“ მაინც გარკვეულ როლს თამაშობს მოდის შექმნაში — ტანსაცმელი მოხერხებული უნდა იყოს, ხაზს უსვამდეს სხეულის ხილამაზს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მოდა „პრაქტიციზმის“ ლოგიკურ ხაზს ყოველთვის როლი ეშორილდება. აზიისა და აფრიკის ხალხები სრულიად უბრძოლველად დანებდნენ ევროპული მოდის შემოტევას. ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი ჩასაცმელი იქნება პიჯაკი და გრძელი შარვალი აფრიკის პაპანაქება სიტყვში, მაგრამ სხვაგვარ პრაქტიკულ გარემოში გაჩენილმა მოდამ მაინც დაიპყრო აზიისა და აფრიკის ცხელი კონტინენტები.

მოდის აღიარებისა და გავრცელების ერთ-ერთი მოქმედი ფაქტორია მიბადვა. მოდის გავრცელებას სერიოზული ძალდატანებაც ახლავს როგორც ცნობიერ, ისე ქვეცნობიერ სფეროში. ადამიანი თვითონ ქმნის თავის ყოფა-ცხოვრებით გარემოს. აქედან მოდის გემოვნების განვითარების თავისებური სტილის შექმნაც. ეს სტილი ადამიანთა საზოგადოების წინსვლის გრძელ მანძილზე ხან აღდგება, ხან მოისპობა და გაქრება, მაგრამ ისევე ხელახლა აღორძინდება. VI საუკუნეში მოდური იყო გრძელჭვინტიანი უქუსლო ფეხსაცმელი. შემდეგში იგი გაქრა, მაგრამ X საუკუნეში თითქოს რევანშით აღსდგა და ფეხსაცმლის ქვინტა ნახევარ მეტრს გადააჭარბა. XVII საუკუნეში ფეხსაცმლის ლანჩამ — თანამედროვე „ტანკეტაჰ“ — ისეთ ზომას მიაღწია, იმუღებული გახდნენ, ტრავმისაგან დასაცავად კანონით განესაზღვრათ მისი სისქე. არც იმაში ვართ ორიგინალურები დღევანდელი ქალები მამაკაცებს ჩექმისა და შარვლის ტარებაში რომ შეეცილნენ.

მოდა დამპყრობელია, მაგრამ ისეთი — დიდხანს რომ არ ჩერდება ტახტზე. მის შეცვლაში დიდ როლს ასრულებს სუბიექტური ფაქტორების მიჩვევა და მობეზრება. ეს უკანასკნელი დღევანდელ ეპოქაში კოლოსალური სისწრაფით ხდება არც ისე დიდი ხნის წინათ მოდა 15-10-5 წელიწადს ძლებდა. ახლა კი თითქმის ყოველწლიურად ახლდება. ამ სოციალურმა მოვლენამ, რომელიც ადამიანის კეთილდღეობის ცუდი მაჩვენებელი როდია, ლამის მთელი ჩვენი ქვეყნის მსუბუქი მრეწველობა გამოუვალ ჩიხში ჩააყენოს.

ზოგჯერ ახალგაზრდებს უკუთნიბენ და ცუდ ტონად უთვლიან მოდის მიყოლას, არა და თავის დროზე ბევრი გენიალური მოზაროვნი თვითონ ქმნიდა თავისი გემოვნების შესაფერ ორიგინალურ მოდას: ჯორჯ ბაირონი ფართოსაყლოიან ხალათს იცვამდა. ასე დადიოდა შექსპირიც. ბალზაკი ბრჭყვიალა ნივთებზე იყო შეყვარებული და აპოლონიერი ლითონის ფოლაქებიანი ცისფერი შილეთით დასიერნობდა. პიერ ლოტი აღმოსავლურ ტანსაცმელს იკერავდა. ოსკარ უაილდი მოკლე შარვლით, ხავერდის ბერეთით და ლილილოში გაყრილი მისხკით დადიოდა. ჰემინგუეი და აინშტაინი უხემ ჭემბრზე იყვნენ შეყვარებული.

მოდა სხვადასხვა გარემოებაში მბრძანებლობისა და ჭირვეულობის განსხვავებულ ბუნებას ავლენს. მაგრამ მთავარი ერთია — მოდა, როგორც სოციალური მოვლენა უდავოდ პროგრესულია. არც ერთი მოდა არ გაჩნდება თუ ამას საზოგადოებრივი იდეალი, ესთეტიკური გემოვნება არ შეუწყობს ხელს.

სად არ გაიკფა მოდამ გზა. ტელევიზია, პრესაც თავის ქომავებად გაიხადა და ამ ბოლო დროს თეატრშიც შეაღწია. უფრო სწორად თეატრი კი არ გახდა მოდური, მოდის თეატრად მოგვევლინა. ტანსაცმელი კულტურაა, — ამბობენ ასეთი თეატრის შემქმნელები და მართალიც არის. თეატრის მესვეურები მიზნად ისახვენ, პლასტიკის, დინამიკის, ხილამაზის, მუსიკის, სიტყვის შეშეობით უკეთ მიაწოდონ ხალხს მოდის კულტურა.

დღეს საზოგადოებრივი გემოვნების განვითარება მალალ საფეხურზე ავიდა. იგი ყველა სფეროში ვლინდება. მოდა კი, შეიძლება ითქვას, ამ ამალეული გემოვნების ყველაზე თვალნათელი წარმოჩენაა.

საქართველო



თბილისში იმყოფებოდა მოსკოვის მოდების სახლის ინდივიდუალური კერვისა და შეკვეთების სამმართველოს წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი. სტუმრებმა თბილისელებს მეტად სასწიმიო სანახაობა უჩვენეს — შესთავაზეს ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის თანამედროვე მოდელები. თბილისელებმა მოსკოვის მემოდელეთა სამხატვრო ხელმძღვანელს ვიჩხსლავ ზაიცევს ასეთი შეკითხვით მიმართეს: რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ბევრი სარგებლობდეს თქვენი სახლის მომსახურებით? იქნებ საჭიროა, რომ თბილისელმა მოდელიერებმა მოსკოვში გაიარონ სტაჟირება?

ვიჩხსლავ ზაიცევმა უპასუხა: შე გავეცანი თბილისის სამხატვრო აკადემიის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული დამუშავებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობის სტუდენტთა ნამუშევრებს. არ ვაჭარბებ, ეს იყო ფეიერვერი, ფანტაზიის აღმაფრენა, მიანიჭეთ მათ დამოუკიდებლობა, შეუქმენით პირობები და ნახავთ, რა შესანიშნავი შედეგი გექნებათ.

გივი პარუაშვილი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეკონომიკური
გეგმვა



გოდების
სახლი გვთავაზობს

ფოტო გონდო დვალისვილიძე.



